№ 2672
სამშაბათი,
16 ნოემბერი.

ცნობის ფურცელი

№ 2672
სამშაბათი,
16 ნოემბერი.

გაზეთი ღირს: წლიწადი—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მოკლე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი
წელიწადი „ცნობის ფურცელი" მეათე
სურათებიანი დამატებით.
ფასი გაზეთისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: ერთის წლით 6 მანეთი. || საზღვარ გარეთ: ერთის წლით 9 მანეთი.
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისთანავე 4 მან. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი
წელიწადი „მოამბე" მეთორმეტე
ფასი ჟურნალისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: 1 წლით—10 მ., ცალკე №—1 მან. || საზღვარ გარეთ: 1 წლით—13 მ., ცალკე №№ 1 მ. 20 კ.
ვინც „მოამბეს" მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი"

უფასოდ გაეგზავნება

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისთანავე უნდა იქმნას შემოტანილი.
წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ ივლისამდე—დანარჩენი.
(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)
როგორც „ცნობის ფურცლის," ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

„დონ-კიხოტი"
დიდის სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.
ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სამასამდე სურათით), პრემიად დარიგებულ
ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.
1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.
ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძელებას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.
პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.
გარდა ამისა „მოამბის" წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ
„მასალები საქართველოს ისტორიისათვის"
ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.
ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 800 გვერდს „მოამბის" ფორმატისას.
რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქ. ამხანაგობის სტამბაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе"-„Цнобисъ Пурцели".

9 ნოემბერს გარდაიცვალა
აზნაური არონ ეტლიასძე ჭყონია,
რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მისი დედა ნეტროსი ჭყონიასა, ძმა მისი დავით, ბიძაშვილი კირილე ჯიხაიროს ძე ჭყონიები და ბიძები ას. გლახუნა და ლასა სარჯველაძენი. პანაშვიდი ყოველდღე 11 საათზე დღისა. დაკრძალვა 16 ნოემბერს, დღით სამშაბათს ს. ჩიბათში. (1—1)

კავკას. ხელოვნების მფარველ საზოგადოების
დროებითი XIV
სურათების გამოფენა
სამხედრო ისტორიულ მუზეუმში, გოლოვინის პროსპექტზე.
ფასი შესვლისა 30 კაპეიკი
ბავშვთა, მოსწავლეთა და შეუძლებელთათვის 15 კაპ.
დილის 10 საათ. 4 საათამდე.

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
სამშაბათს, 16 ნოემბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „ფენელლა" ოპერა 5 მოქ. ობერისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნიკიტსკაია, ზასლავსკაია; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, დონსკოი, პორუბინოვსკი, ზალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
17 ნოემბ.—ქართ. წარმოდგენა: „საქმის კაცი" და „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია". გამგე ი. ა. კელლერი

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი.
ოთხშაბათს, 17 ნოემბ., ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესები
I
საქმის კაცი
დრამა 3 მოქ. თხზ. მირბოსი, თარ. ვლ. ლორთქიფანიძისა.
II
საღამოს ერთი ცხვირი ხეირია,
ვოდ. 1 მოქმ. სუნდუკიანცისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გაბუნია-ცაგარელი, კარგარეთელი, ჩხეიძე, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გუნია, ივანიძე, ქ. მესხი, მატარაძე, სვიმონიძე, შალიკაშვილი, შათირიშვილი, ჩარკვიანი და სხვ.
ბილეთების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
მორიგი რეჟისორი ქ. მესხი. შემდეგი წარმოდგენა ბენეფისი ვ. აბაშიძისა. ადმინისტრაცია ამხანაგობისა.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
გ. ფ. მუღნიძე.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. ქიმონტი.—ქირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
მ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ექ. ქალი ე. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბავშვო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ვ. ა. ბეღიძე.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. ე. მონინი.—ქალისა, საზვინი და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.
ვ. ს. შუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველდღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
მ. მ. ხომოლიძე.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.
საღამოთ:
გ. მ. ხოსოლიძე.—ქირურგია და ორტოპედია. ხუთშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი სამკურნალოში შესანახავად მორიგებით. კრავატები დღეში ღირს [illegible] მან. საზოგადოთ და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (ქუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აზრამოვისა, № [illegible] (ველიკოკნიაჟ. ქუჩიდან-კი 34 Б. შეს.)
ტელეფონი № 274

ექიმი
ი. ი. გამბურგერი
რიბოლდოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის, სამკურნალოსადიაგნოსტო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—8)

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 792.

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—6.—31)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—21)

ექიმი
ა. ნ. თოთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—366—11)

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ

გორის მაზრის სოფელ ახალქალაქში ისყიდება საადგარაკო მამული. ცხრა დღიური სახნავ-სათესი და ერთი დღიური ვენახი. მამული შემკულია წყაროებით და ყოვლად შესაფერია მოაგარაკეთათვის. პირობების შეტყობა შეიძლება სადგურ ქიურდამირის უფროსის ვლადიმერ მიხეილის ძე ტატიშვილისაგან. (3—6.—4)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

14 ნოემბერი

ხუეცი, 14 ნოემბერი („რეიტერი"). ბალტიის ესკადრა მიდის; ნაპირების დამცველ ეგვიპტეს გემები მისდევენ.

ტოკიო, 14 ნოემბერი („რეიტერი"). ამ წუთს პორტ-არტურის საერთო შტურმია. განსაკუთრებით გაწვრთნილმა იაპონელთა თავ-გამოდებულმა რაზმმა, გენერლების ნაკიმურასა და საიტოს მეთაურობით იერიში მიიტანა სიმაგრეებზე და გამწვავებული ხელჩართული ბრძოლა მოხდა. ბრძოლის შედეგი ჯერ-ჯერობით არ იციან.

ტოკიო, 14 ნოემბერი („რეიტერი"). იაპონიის მთავარ-სადგურმა შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „რადგან თითქმის დასრულდა სამზადისი სუნშუშანზე და იმის აღმოსავლეთით სიმაგრეებზე იერიშის მისატანად, 13 ნოემბრისათვის დანიშნული იყო საერთო იერიში, მაგრამ რუსების მედგარ წინააღმდეგობის გამო იაპონელებმა ჯერ-ჯერობით მიზანს ვერ მიიღწიეს. ბრძოლა არ შეწყვეტილა".

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

14 ნოემბერი.

ტოკიო, 14 ნოემბერი. „ცენტრალნიუზ"-ი იუწყება, რომ დღეს შუადამისას პორტ-არტურის საერთო იერიში მოხდა. იაპონელებმა თავ-განწირულად მოიტანეს იერიში ერლუნგშანის, სუნშუშანის და აღმოსავლეთ კიკვანშანის სიმაგრეებზე. რუსებმა თავ-გამოდებით წინააღმდეგობა გაუწიეს. იაპონელები განუწყვეტლივ ყუმბარებს უშვებენ და ანგრევენ დამცველ სანგრებსა და სიმაგრეებს.

ბერლინი, 14 ნოემბერი. „კრეიც-ცეიტუნგ"-ის სიტყვით, ბერლინის საზღვაო-სამხედრო წრეებში ფიქრობენ, რომ ბალტიის ესკადრას წითელ ზღვაში იაპონელთაგან არაფერი საფრთხე არ მოელის. ამ ჟამად იაპონელები ისე გართულნი არიან საქმეში ყვითელ ზღვაში, რომ ინდოეთის წყლებში წასვლას ვერ გაბედავენ, სადაც არც ერთი ნახშირის სადგური არა აქვთ.

ჩანსიამუტუნი, 14 ნოემბერი. რადგან სიცივეებია, იაპონელებს აცვიათ თეთრ-ბეწვიანი და თბილი საყელოიანი მოკლე ქურქები. ქურქებს სახელოები არა აქვს.—რუსის ჯარის იმ პოზიციებს, რომელიც პუტილოვის სოპკაზეა, იაპონელები ყუმბარებს ძველ ზარბაზნებიდან უშვებენ. სტენავენ ზარბაზნებს კვამლიან წამლით. ღამე ჩვენი ჯარის შუაგულიდან ზარბაზნების სროლის ხმა ისმოდა.

ჩიფუ, 14 ნოემბერი. გუშინ ნავით მოვიდა 10 იაპონელი, სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი. მიზეზი მოსვლისა არ იციან.

მუკდენი, 14 ნოემბერი. იაპონელები მხნედ განაგრძობენ მოქმედებას რუსის მარცხენა ფრთის წინააღმდეგ. ჩვენ რაზმზე აღმოსავლეთით 11 და 12 ნოემბერს იაპონელებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ მოგერიებულ იქნენ. იაპონელებმა 13 ნოემბერს დილითაც მოიტანეს იერიში. საარტილერიო ბრძოლის შემდეგ იაპონელები რუსის რაზმზე მარცხენა ფრთიდან მოვიდნენ. 13 ნოემბერს იაპონელები უფრო ნაკლების მხნეობით მიიწევდნენ წინ. საღამოთი იერიშები მოგერიებულ იქნა.

ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი ბ. ლოდიჟენსკი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: წინა პოზიციებიდან მოსული აფიცრები ამბობენ, რომ იმ ადგილებში, სადაც არმია სდგას, ტყე სულ გააჩანაგესო. რაც კი დასაწველად გამოდგება, ყველაფერს ბეჯითად აგროვებენ, ჩინელები გიაოლიანის გორებსა სთხრიან გაყინულ მიწიდან. მუკდენში ყველაფერი ძვირდება; შეშა ფუთი 90 კაპ. იყიდება, ცხენის საჭმელი დღეში 1 მ. 50 კაპ. ღირს, ზამთარი კი ეს არის იწყება. ერთჯელ სალდათებს ცერცვის კოტანი მისცეს შეშის მაგივრად დასაწველად. სადგომის შოვნაც სჭირდება; ქალაქელი იჯარადარი ჩინელები სახლების შეკეთებასა და ფეჩების გამართვაში საშინელ ფასებს იღებენ. ბევრი მიწურ სახლის აგებას აპირობს.

„ტაიმს"-ის კორესპონდენტი სწერს: იაპონელებმა ამ ჟამად თითქმის ყველა ქვა-ნახშირის მადანი დაიჭირეს მუკდენს ახლო, ასე რომ მუკდენს ქვა-ნახშირი დააკლდება. მართალია ფუშუნის მადნები ისევ რუსების ხელშია, მაგრამ იქაური ქვა ნახშირი არ ეყოფა ხალხსა. წინად ჩინელებს მუკდენში სულ იმ ადგილებიდან მიჰქონდათ ქვა-ნახშირი, სადაც ეხლა გენ. ნოძუსა და გენ. კუროკის არმიები დგანან.

ფრანგულ გაზეთებს კერძო ცნობა მოუვიდათ ტოკიოდან: იაპონიის მთავარმა შტაბმა დაადგინა, კორეაში ბევრი მაშველი ჯარი გაიგზავნოსო. („რ. ლ.").

„ეტი ჟურნალ"-ი იუწყება: რუსის არმიაში საფრანგეთიდან 500 ახალ სისტემის ტყვიის მტყორცნელი გაჰგზავნესო. ეს ტყვიის მტყორცნელები წამში 180-ჯერ ისვრიანო. („რ. ლ.").

„ბერლ. ლოკალ ანცაიგერ"-ის კორესპონდენტი იუწყება მუკდენიდან: იაპონელები მოკლულ რუსების ძვირფას ნივთებს ინახვენ და საფრანგეთის წარმომადგენლების ხელით პეტერბურგში ჰგზავნიან. ესეთმა ქცევამ მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა რუსის არმიაზე. რუსებიც ასევე ექცევიან იაპონელებს. („ნ. დ.").

ჟურნალ „დე დება"-ს კორესპონდენტი იუწყება იოკაგამიდან: აქ დიდი სიწყნარეა; აქაური ხალხი რომ ჰნახოთ, არც-კი დაიჯერებთ, რომ იაპონია ასეთი დიდ ომშია გაბმული და ამ ჟამად მანჯურიაში იმისი ბედი სწყდება. („რ. ლ.").

იაპონური გაზ. „ჯეპან ტაიმს"-ი იუწყება: ინდოეთში ინდორის მაგარაჯის (მთავრის) სამფლობელოში იაპონელ სალდათების ქვრივებისა და ობლების სასარგებლოდ ხელის მოწერა გამართეს. ფულის შემწირველნი დიდ თანაგრძნობას უცხადებენ იაპონიას, როგორც „აზიელ ერთა განმანთავისუფლებელს". დღეში 600 რუპია იკრიბება. ინდორის მაგარაჯიც ხელს უწყობს და მფარველობას უწევს ამ ხელის მოწერას. „ჯეპან ტაიმს"-ი უმატებს: იაპონია არას დროს არ დაივიწყებს, რომ ინდოეთის მოძმეებმა დახმარება გაუწიეს მძიმე ისტორიულ წამის დროს („ნ. ვ.").

მდ. შახეზე: კორესპონდენტები ყველა მხრიდან იუწყებიან, მდ. შახეზე სიჩუმე დაირღვა, გენ. კუროკის არმიამ წინ გაილაშქრა და მალე მდ. შახეზე დიდი ამბები მოხდებაო.

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ მუკდენიდან: იაპონელებმა მდ. შახეზე მზვერავი რაზმები გააძლიერეს, მოწინავე რაზმებს ბევრი ჯარი მოუმატეს და სარეზერვო კოლონები აქეთ-იქით გადაიყვან-გადმოიყვანეს. ყველაფრიდან სჩანს, რომ იაპონელები მალე იერიშის მოტანას აპირობენ რუსის არმიაზეო. („რ. ლ.").

„მატენ"-ის კორესპონდენტი გასტონ ლერუ დეპეშით იუწყება პეტერბურგიდან: გატყობინებთ, რომ სერიოზული სამხედრო მოქმედება განახლდა; გენ. კუროკის არმია მხნედ ცდილობს რუსის მარცხენა ფრთის გვერდიდან შემოვლას. ეს ცდა მით უფრო საყურადღებოა, რომ იაპონელებმა თავიანთ მარცხენა ფრთიდან (გენ. ოკუს არმიიდან) ჯარი გენ. ნოძუსა და კუროკის არმიისაკენ გადაიყვანეს.

„ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: ხმა დადის, რომ იაპონელები რუსის არმიას გვერდიდან შემოვლასა და ტელინის გზის მოჭრას უპირობენო. იქ ამბობენ, რუსის არმია მთელ ზამთარს მუკდენში უძრავად გაატარებს, წინ არ გაილაშქრებსო. ღამე ცივა. შეშა გაძვირდა. მუკდენში ერთი ფუთი შეშა 80 კაპ. იყიდება. ჩინელები მინდვრებსა და გზებზე დაძრწიან და ყველაფერს, რაც კი დასაწველად გამოდგება, თვით გაოლიანის ძირსაც კი, ჰკრებენ სახლების გასათბობად.

„ნიუ-იორკ ჰერალდ"-ის კორესპონდენტი იუწყება: ვლადივოსტოკს ახლო ბევრი ხუნხუზი გაჩნდა; ამბობენ, ხუნხუზებს რკინის გზის დანგრევა სწადიანთო. რუსის არმიაში ელიან, იაპონელები მალე იერიშს მოიტანენ რუსის ცენტრსა და მარცხენა ფრთაზეო. („რ. ლ.").

„რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი ბ. კლიმკოვი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: ის ცნობა, რომ იაპონელები ჩრდილოეთ აღმოსავლეთ მხარეს მოიწევენო, მართლდება. გაიგეს, რომ იაპონელები რუსის არმიის მარცხენა ფრთის გვერდიდან შემოვლასა და პირ-და-პირ ტელინისაკენ გალაშქრებას აპირობენო. მაგრამ იაპონელების განზრახვა თავის დროზე გაიგეს რუსებმა. ამას წინად (5 ნოემბერს) იაპონელებმა რუსის ცენტრის პოზიციის ყელზე (პუტილოვის გორაზე) იერიში მოიტანეს. აქედან სჩანს, რომ იაპონელები არ ისვენებენ და დაზამთრებამდე აპირობენ მუკდენის დაჭერას. უეჭველია მალე ბრძოლა მოხდება.

რუსის სააგენტოს დეპეშებიდანაც სჩანს, რომ იაპონელებს 11 ნოემბერს აქეთ იერიში მიაქვთ რუსის მარცხენა ფრთაზე და ერთის რაზმისათვის ცოტა უკანაც დაუხევინებიათ. რუსის მარცხენა ფრთისა, ანუ აღმოსავლეთ არმიის წინააღმდეგ იაპონელების მარჯვენა ფრთა, ანუ გენ. კუროკის არმია მოქმედებს. იმავ რუსულ დეპეშებიდან სჩანს, რომ გენ. კუროკის მოწინავე რაზმებს საკმაოდ წინ წაუწევიათ და ფუშუნის გზაზე ჩანსიჩაის ჩრდილოეთით და გაოტულინის უღელტეხილის დასავლეთით სოფ. ფინშური დაუჭერიათ...

რაღა თქმა უნდა, რუსის სარდლებსაც ღონისძიება მიუღიათ და ფუშუნის გზაზე, საითაც გენ. კუროკის არმია მოდის, ჯარი დაუყენებიათ.

„სტანდარდ"-ს ატყობინებენ ტოკიოდან: ამბობენ, რუსებმა თითქმის სამი დივიზია ჯარი დააყენეს პოზიციებზე ფუშუნიდან (მდ. ხუნხეზეა, მუკდენიდან 35 ვერსზე, აღმოსავლეთით) იმ ადგილებამდე, სადაც გენ. კუროკის არმიას უპირავს პოზიციები. მდ. ხუნხეზე ყინულს 10 ფუტი სისქე ექმნება, ასე რომ ეხლა ყინულზე დიდ ზარბაზნების გადატანაც შეიძლება. („მ. ვ.").

გენ. ოკუს არმიის განაპირა მარცხენა ფრთას, ეტყობა, დემონსტრაცია მოუხდენია. ბ. ლოდიჟენსკი მუკდენიდან ატყობინებს „რუსკოე სლოვო"-ს: კერძო, მაგრამ სარწმუნო ცნობა მოვიდა, 1 ათასი იაპონელი და 3 ათასი ხუნხუზი, ან თავისუფალი მეომარი ჩინელი მდ. ლიაოხეში გავიდნენ და მდინარის პირ-პირ ტელინისაკენ გაემართნენ, გზაში რუსის ჯარი შეხვდა, შეებრძოლნენ და ზარალით უკან დაბრუნდნენ, მაგრამ მდ. ლიაოხეს გაღმა მაინც აღარ გასულანო.

ზოგს უკვირს, მარშალმა ოიამამ რად დააგვიანა რუსის არმიაზე იერიშის მიტანაო. ინგლისური გაზ. „გლობ"-ი სწერს: ეს სულაც არაა სტრატეგიული შეცდომა იაპონელებმა კარგად იციან, რომ გენ. კუროპატკინს განუწყვეტლივ მაშველი ჯარი მოსდის, მაგრამ ჯარის მომატება როდი აშინებთ: მარშალმა ოიამამ ისიც კარგად იცის, რომ რუსეთი თვეში 35 ათას კაცზე მეტს ვერ ჩაიყვანს მანჯურიაში. („რ. ლ.").

პორტ-არტური. „ლოკალ ანცაიგერ"-ის კორესპონდენტი იუწყება მუკდენიდან: რუსის არმიის მთავარ სადგომში დარწმუნებულნი არიან, რომ პორტ-არტური კიდევ დიდხანს გასძლებსო. გინდ იაპონელებმა პირველ რიგის ფორტები აიღონ, რუსის მეციხოვნე ჯარი კიდევ დიდხანს გაუმაგრდებათ: ჯერ შიდა კედლებთან გამაგრდება და მერე ზღვის სანაპირო ფორტებზეო. აქ იმე-

და აქვთ, რომ ბალტიის ესკადრა დაიხსნის ციხესაო. („ნ. დ.“).

„დეილი მეილ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი სწერს: გენ. სტესელი იწერებოდა, მარტამდე გავმაგრდებო, თუ სამხედრო და საკვები სურსათი არ შემომაკლდაო. ამიტომ რუსეთის მთავრობამ უბძანა თავის აგენტებს საზღვარ-გარედ, რაც უნდა დაჯდეს, გენ. სტესელს საჭირო სამხედრო და საკვები სურსათი ჩააბარეთო. („რ. ლ.).

ბერლინიდან ატყობინებენ „ბირჟევია ვედომოსტი“-ს: აქაურ გაზეთებს დეპეშა მოუვიდათ 9 ნოემბერს: პორტ-არტურიდან მე-16 ციმბირის მსროლელთა პოლკის რუსის აფიცერი პორუჩიკი შუბცოვი მოვიდა ვეიხაივეიში. შუბცოვმა ილაპარაკა, პორტ-არტური სხვისა დაუხმარებლად მარტოკა იანვრამდე გასძლებსო; ერლუნგშანის ფორტსა და თითონ პორტ-არტურს შუა სამი რიგი სიმაგრეა აშენებული. ეს სიმაგრეები მეტისმეტად ძნელი ასაღებიაო.

ინგლისურ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: ჩინელები ამბობენ, იაპონელები პორტ-არტურის ჩრდილო-ოეთ-აღმოსავლეთ ფორტებს ატანენ ძალას და შიდა სიმაგრეების სარტყლის გარღვევას ცდილობენო. („რ. ლ.“).

ამერიკის უმთავრესმა კონსულმა ჩიფუდან შეატყობინა თავის მთავრობას, პორტ-არტური გაჭირვებულ მდგომარეობაშიაო. („პ. ვ.“)

გაზ. „ჟურნალ“-ს შეატყობინეს ჩიფუდან: გენ. სტესელი სახეში დაუჭრიათ, მაგრამ გენერალი მაინც საავადმყოფოში არ დაწოლილა.

გაზ. „ტან“-ი იუწყება: რუსეთის მთავარი შტაბიც ჰპოწმობს იმ ცნობას, რომ გენ. სტესელი დაიჭრა, მაგრამ პორტ-არტურის უფროსს, ჭრილობა საშიში არაა: გენ. სტესელისათვის ტყვიას ოდნავ გაუკაწრავს თავიო.

„ლოკალ ანცაიგერ“-ი იუწყება: ჩიფუში ხმა დადის, გენ. სტესელი საშიშადაა ავადაო. გენერალს ყველგან პოზიციებზე მეუღლე დასდევს თანა. თუმცა თითონაც ჯერ არ მორჩენია იარა (გენ. სტესელის მეუღლე ამას წინად დაუჭრეს მხარში). გენერლის მეუღლეს უთქვამს: აღდგომას პორტ-არტურში გავატარებთო. („რ. ს.“).

გენ. ნოგის არმიის მთავარ-სადგომიდან ატყობინებენ ფრანგულ გაზეთებს: რუსის მეციხოვნე ჯარი ამ ბოლოს დროს სულ აღარ გამოდის სიმაგრეებიდან და იერიში აღარ მიაქვს იაპონელებზე. ეტყობა, გენ. სტესელს ცოტა ჯარი-ღა ჰყავს და უფრთხილდება, არ უნდა, რომ იერიშის დროს ზარალი მიეცეს. („რ. ლ.“).

იაპონიის საელჩომ პარიზში გამოაცხადა: გენ. ნოგი იუწყება, იაპონელებმა საზღვაო ზარბაზანი დაუშინეს პორტ-არტურის აღმოსავლეთ ნაწილს და არსენალს ახლო თოფის წამლის საწყობი ააფეთქესო. („ნ. ვ.“).

ტოკიოდან იუწყებიან, ვითომ იაპონელებმა 4 ნოემბერს ერლუნგშანისა და სუნგშუშანის ფორტების ნაწილი დაანგრიეს და რაც ამ ფორტებზე არტილერია იდგა, ისიც სულ ააფეთქესო. 5 ნოემბერს იაპონელებმა შტურმით აიღეს ამ ფორტების კონტრესკარპებიო (ნაპირა კედლები). („ნ. დ.“).

უცხოეთის გაზეთებს ცნობა მიუღიათ შანხაიდან: „რასტოროპნი“-ს სამი კონტრაბანდიანი გემი სხვა გამოჰყოლია; ამათგან ორი გემი იაპონელებმა ჩაიგდეს ხელში, მესამეს რა მოუვიდა, არ იციანო. „ნოვოსტი დნია“ შენიშნავს, ეს ცნობა ტყუილი იქნებაო.

ადმირალ ტოგოს დაღუპვის ამბავი ტყუილი გამოდგა. „ვოლფის სააგენტო“ იუწყება: ბერლინსა და ლონდონში არაფერი ცნობა არ მიუღიათ ადმირალ ტოგოსა და ჯავშნიან გემ „მიკაზა“-ს დაღუპვაზეო. („მ. ვ.“).

იაპონიის საელჩომ ლონდონში გადაჭრით უარ-ჰყო ის ცნობა, ვითომ ჯავშნიანი გემი „მიკაზა“ და ადმირალი ტოგო დაღუპულიყვნენ. ეს ამბავი არც ერთ ინგლისელ კორესპონდენტს არ შეუტყვია არც რუსის არმიის მთავარ-სადგომში, არ იაპონიის არმიისაში; ეს ცნობა რუსეთიდან გავრცელდა. („რ. ლ.“).

რუსეთის ახალი გემები. გრაფმა სტროგანოვმა რუსის ფლოტს 9 მილიონად ღირებული გემი შესწირა. ეს გემი საზღვაო ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის თანახმადაა აშენებული, ეხლა სამხედრო კრეისერებში ჩაირიცხა და სახელად „რუს“-ი დაერქვა. როგორც ვიცით, ეს გემი გრაფმა სტროგანოვმა გერმანიაში იყიდა. („რ. ს.“).

ბალტიის ქარხანაში ამ ჟამად ახალი საესკადრო ჯავშნიანი გემი „იმპერატორ პაველ I“ შენდება. ახალ გემს წყალ-წყვა 16,630 ტონა ექნება, სიგძე 438 ფუტი, სიგანე 50 ფუტი და წყალში $26^1/_2$ ფუტის სიღრმეზე იჯდება. ჯერ ასეთი დიდი გემი რუსის ფლოტში არა ყოფილა. ახალ რუსის ჯავშნიან გემებს „სუვოროვ“-ს, „ბოროდინო“-ს, „ალექსანდრ III“-ეს და „ორიოლ“-ს 13,516 ტონა წყალ-წყვა აქვთ თითოს. („რ. ს.“).

ომში

მოკლულნი, დაჭრილნი და ტყვედ წაყვანილნი

მთავარ შტაბის განსაკუთრებული განყოფილება აცხადებს მოკლულთა, დაჭრილთა და ბრძოლის ველზე დარჩენილთა სიას:

25 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე მოკლულ იქმნა: კაპიტნები—პრჟედეცკი და ანდრესი; შტაბს-კაპიტანი—იაკიმოვიჩი; პორუჩიკი—პაჩევსკი; პოდპორუჩიკი—კოხანოვი და ხორუნჟი კრიიანოვი.

დაიჭრნენ: პოდპოლკოვნიკებ—სერედენკო და ანტონოვიჩი; კაპიტნები—პერლიკი, ნოვიკოვი, იანკოვიჩი, ევდოკიმოვი და ვეფერნი; შტაბს-კაპიტნები—ნაკრიეოვი, ადო, კუდრიავცევი, კლიაგინი, დომბროვსკი, ფონ-ბურმეისტერი, დმიტრიევი, ბელიაკოვსკი და სოლოდიაგინი; პორუჩიკები—დოვგირდი, ზელენინი, ნიკოლაევი და ალბედილი; პოდპორუჩიკები—ნიკოლაევი, სავიცკი, მარკოვი, პოკროვსკი, გლაზოვი და გარნიშევსკი; პრაპორშჩიკები—ვასილიევი, ბოგდანოვი, რიაბიხინი, ბლიუმბერგი, პონომარენკო, ვინოგრადოვი და გრუდზანოვსკი; სოტნიკები—კრიპაკოვი და უვაროვი; ესაული—მიხაილოვი; პოდესაული—შჩაპოვი.

ბრძოლის ველზე დარჩნენ: შტაბს-კაპიტანი—მასლოვი; პორუჩიკი—რომანოვიჩი, ზაურიად-პრაპორშჩიკები—ეგოროვი და პალეჩეკი.

ახალი ამბავი

◆ ოთხშაბათს, 24 ნოემბერს, გენერალის მაკედონსკის თავმჯდომარეობით განჯაში დაიწყებს მოქმედებას კავკასიის სამხედრო სამოსამართლო სესია. სესიამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს საქმე გრიქორ გუკასოვისა და სიმონ და ივანე ფირაშევებისა. გუკასოვს ჰბრალდება **განჯის ვიცე-გუბერნატორის ანდრეევის მოკვლა.** დანარჩენთ ჰბრალდებათ გუკასოვის დახმარება და იმისი დამალვა. ბრალდებულთა დამცველები არიან მოსკოვიდან ნაფიცი ვექილი ნ. კ. მურავიოვი და ტფილისიდან ლ. ა. ხომენტოვსკი. სასამართლოში ამ საქმის გამო დაბარებულია 80 მოწმეზე მეტი.

◆ კვირას, 14 ნოემბერს, **ხოლერამ** თავი იჩინა ავჭალის ქუჩაზე. ავად გახდა დანდუროვის სახლში მცხოვრები არშაკ ისიევი. ქალაქის სასანიტარო კომისიამ დაუყოვნებლივ საჭირო ზომები მიიღო. ავადმყოფი გაგზავნეს ხოლერიანთა ბარაკში.

◆ მოგვივიდა პირველი ნომერი ახალ **საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადული“-სა.** ერთი წიგნი მოზრდილთათვის არის გამოცემული, მეორეც—პატარებისთვის. ორივე წიგნი შინაარსიანია და საუცხოვოდ არის გამოცემული. უფრო საყურადღებო ის არის, რომ წიგნების თითქმის ყველა გვერდზე სურათებია. როგორც შინაარსიდანა სჩანს, ჟურნალში ჩვენი ყველა ცნობილი მწერალი იღებს მონაწილეობას. გულით ვუსურვებთ ახალ ჟურნალს წარმატებას. შემდეგში კიდევ დავუბრუნდებით ამ ჟურნალს, ეხლა კი შინაარსს გავაცნობთ მკითხველს. პატარებისათვის გამოცემულ წიგნში მოთავსებულია შემდეგი ლექსები და წერილები:

„ნაკადული“—ლექსი შ. მღვიმელისა; „დახსნე ფესოს“,—კომედია-ხუმრობა, თარგმანი; „შაშია“,—აკაკისა; „ნხუბი“,—ი. ალხაზ.—სა; „ქეცუნას ოჯახი“, გვალისა; ნარევი და სახალისო სამუშაო და გასართობი; მოზრდილთათვის: „ნაკადული“,—აკაკისა; „ქათმის საიდუმლოებანი“,—იაკ. გოგებაშვილისა; „ამაყი მუხა“,—გვალისა; „ლეგენდური“,—აკაკისა; „ვენკა“,—ინ-ან საუბარი მცენარეთა ცხოვრებაზე“,—ი. [illegible] ზ.—სა; „გიორგი ერისთავი“,—ი. ა—სა; [illegible] კანდ. გუბელაშვილი—ია-სა; ნარევი და სახალისო სამუშაო და გასართობი.

◆ სამხედრო და საზღვაო სასულიერო მთავრობის განკარგულებით, ბლ. მღვდელი ტფილისის სამხედრო სობოროსი ალექსანდრე ქურავსკი დაინიშნა **მანჯურიის მეორე არმიის მთავარ მოძღვრად,** ხოლო უკანასკნელის ნაცვლად ტფილისში გადმოყვანილ იქმნა გორიდან მ. ნათაძე.

◆ კავკასიის სამკურნალო საზოგადოება დღეს, 16 ნოემბერს, სხდომაზე, სხვათა შორის, განიხილავს მოხსენებას ბ-ნ ი. დ. კუპცისას მახობელას შესახებ. მახობელას, როგორც ვიცით, გორის მაზრის მცხოვრებნი პურში ურევენ და სჭამენ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრის ბ-ნ არგუთინსკი-დოლგორუკოვის მეთაურობით ქალაქის გამგეობის მოხელენი შეუდგნენ ზრუნვას გამგეობასთან არსებულ შემნახველ-გამსესხებელ **კასის** მოქმედების განსაახლებლად. კასის მოქმედება ორი წელიწადი შეწყვეტილი იყო.

◆ მ[illegible]ულო გამგე ბ-ნი [illegible] არქუტსკში ადგილობრივ [illegible]ედ. მცხეთის **ბოქაულად დაინიშნა** დუშეთის სამაზრო სამმართველოს მდივანი დეკაბრელევიჩი.

◆ როგორც თელავის მაზრიდან გვატყობინებენ, სოფ. ლალისყურში **საქონლის ჭირი გაჩენილა.**

◆ როგორც ახალციხის მაზრიდან გვატყობინებენ, სოფ. პატარა-პამაჩში მსხვილფეხა საქონელს **ციმბირის ჭირი** გასჩენია.

◆ ტფილისის საბჭოს საფინანსო კომისია დღეს, 16-ნოემბრიდან, შეუდგება ქალაქის 1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. კომისიას კვირაში ორჯელ ექნება სხდომა.

◆ გზათა ინჟინერმა რაზვადოვსკიმ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას წარუდგინა სამი გეგმა ძველის ნაძალადევისა; გეგმები ინჟინერს გადაუცია ქალაქის გამგეობის განკარგულებით.

◆ ტფილისის გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის თითო თუმნით დააჯარიმა შემდეგი სახლის პატრონნი: მე-10 უბანში: ივანე ანდრეოლეტტი, ეკატერინე ელნიცკისა, ისაია ფითოევი, ყარამან ელჩიევი, გენერალ-მაიორის ქვრივი ელენე ასტაფიევისა, ვლადიმერ რეზნიკოვი, ამაზასპ ოსანოვი და სოფიო არგუთინსკი-დოლგორუკოვი.

◆ როგორც აღნიშნული გვქონდა, მომავალ კვირიდან კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში ლექციებს წაიკითხავს მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებული, იურისკონსულტის თანაშემწე ბ-ნი მ. ს. დურასოვი. პირველ ლექციას დურასოვი წაიკითხავს კვირას.

საარქეოლოგო საზოგადოება

14 ნოემბერს ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში მოხდა კრება მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა, გრაფინია პ. ს. უვაროვის თავმჯდომარეობით. პირველად ი. ა. ლალაიანცმა წაიკითხა თავისი გამოკვლევანი. ბ-ნს ლალაიანცს რამდენიმე მაზრა მოუვლია ერევნის გუბერნიაში, ზოგიერთ სოფლებში არქეოლოგიის მხრივ შესანიშნავი ადგილები გაუთხრია და შეუგროვებია ნაშთები: თიხის ჭურჭელი, ხანჯალი, სამაჯური და სხვა. შეკრებილ ნაშთების კოლექცია კრებამ მიიღო სიძველეთ საცავში შესანახად.

საყურადღებო მოხსენება წაიკითხა ბ-ნმა ე. ს. თაყაიშვილმა სამცხე-საათაბაგოს სოფელ სმიტის ეკკლესიისა და საფარის მონასტრის წარწერების შესახებ. სმიტის ეკკლესია აშენებულია იოანე აწყურელის მიერ და განახლებულია 1465 წელს მაწყვერელ ეპისკოპოსის ერისთავის შიო ზაზურიძის მიერ. ბ-ნ თაყაიშვილის აზრით, განსვენებული ბროსე შემცდარია, ვითომ საფარის მონასტრის წარწერებში ქორონიკონი იყოს, რომელიც უდრიდეს 1309 წელს. ქორონიკონი არ არის, მაგრამ მონასტრის მხატვრობის წარწერანი და კედლებზე დახატული სურათები ათაბაგებისა უჩვენებენ, რომ საბას ლავრა აშენებულია ბექა პირველის მიერ, რომელიც გარდაიცვალა 1603 წელს. ბ-ნმა თაყაიშვილმა მოიყვანა ცნობები სოფ. საფარაში არსებულ წმ. მარინეს ეკკლესიის ხატვრობის შესახებ. კარგად გადმოცემულია საფარაში დაცულ ათაბაგების სურათები. მომხსენებელმა ეს სურათები შეადარა ჭულეს მონასტერში დაცულ ათაბაგებისავე სურათებს და ზარზმის სურათებს. საფარის მონასტერში ბ. ე. თაყაიშვილის მოხსენებით არის სურათები ათაბაგი საბასი (ბერის ტანისამოსში), ბექა მანდატურთ უხუცესისა, სარგის სამცხეს სპასალარისა და ყვარყვარესი. ეგევე ათაბაგები დახატულნი არიან ჭულეშიაც. ჭულეს ეკკლესიაში დაცულა აგრეთვე სურათი შალვა ათაბაგისა. ბექა, სარგის და ყვარყვარე დახატულნი ყოფილან ზარზმაშიაც. ყველაზე ადრე [illegible] ერთი ათაბაგი, რომლის სახელიც არა სწერია. ბ-ნ თაყაიშვილის აზრით, ეს ათაბაგი სარგის პირველია, რომელმაც 1269 წელს [illegible] საქართველოს სამეფოს [illegible] და სამთავროდ გამოაცხადა. 50 წლის განმავლობა სამცხე-საათაბაგოს ბედს განაგებდა ათაბაგი. ამავე ათაბაგს ბოლოს მიუღია ბერობა საბას სახელით. ამ ბერის ტანისამოსით დახატულია იგი საფარისა და ჭულეს მონასტრებში. აქავეა სურათები ბექა პირველის, სარგის პირველის შვილისა, სარგის მეორესი, ყვარყვარესი, შალვასი და აგრეთვე ბექას შვილებისა. დასასრულ ბ-ნმა თაყაიშვილმა აცნობა კრებას შინაარსი ავეანდაძეების სიგელისა. წინად ეს სიგელი ყალბი ეგონათ, მაგრამ ამ რამდენისამე ხნის წინად სიგელი ტყავზე დაწერილი ქუთაისში აღმოჩნდა, საიდანაც ჩამოუტანია ნაფიც ვექილს ა. მ. ჭყონიას. ბ-ნმა თაყაიშვილმა სთქვა, სიგელში მოხსენებული ფული—ცხუმური—უნდა იყოს გენუელების ანუ ბიზანტიელების მიერ დასავლეთ საქართველოში შემოტანილი და პირველად საქართველოში ცხუმურ ან სუხუმის სახელით გავრცელებულიო. სიგელში აწერილია, რა ღვაწლი მიუძღვოდა ქართველთ მეფეთა წინაშე ავეანდაძეების გვარს, რომლის წინაპარიც დაღესტნიდან მოსულა საქართველოში. ამ გვარის ერთი შტო განთქმული ყოფილა სამკურნალო წამლების ცოდნით.

კრებამ თაყაიშვილს მადლობა გადაუხადა საყურადღებო მოხსენებისათვის და შეუდგა მიმდინარე საქმეების განხილვას. გრაფინია უვაროვისამ კრებას აცნობა, რომ კავკასია და კერძოდ საქართველო სავსეა ძველ ნივთებით. საზოგადოების განყოფილებას მდიდარი კოლექცია აქვს საარქეოლოგო ნივთებისა და აგრეთვე სამი დიდი შკაფი, წიგნებით სავსე. რადგან განყოფილებას საკუთარი სადგომი არა აქვს ამ სიძველეთა დასაცავად, ხოლო კერძო ბინაზე შეიძლება ნივთების გაფუჭება და დაკარგვა, გრაფინიამ ურჩია კრებას ნივთები და წიგნები მოათავსოს კავკასიის მუზეუმში. მუზეუმის გამგეც დაჰპირებია ცალკე ოთახის დათმობას. კრებამ მიიღო ეს წინადადება. თავმჯდომარემ დასასრულ განაცხადა: რაც დრო და ხანი გადის, მით უფრო ისპობა საარქეოლოგო მნიშვნელობის ნივთები. ამიტომ საჭიროაო განყოფილების წევრთ მეტი მხნეობა გამოიჩინონ და შეუდგნენ კავკასიის ჯერ გამოუკვლეველ კუთხეების მოვლასა, შესწავლას და დარჩენილ ნივთების მოპოვებას. კიდევ ორიოდე წელიწადი და მერე გვიანღა იქნება ამ კუთხის დიად წარსულის შესწავლაო, საჭიროა მასალებით ჩხრეკა-ძიებაო. მართალია, საექსკურსიოდ განყოფილების წევრთ სახსარი არ აქვთ, მაგრამ მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოება განყოფილებას ამაზე უარს არ ეტყვის. თვით მე ვიშუამდგომლებ, მხოლოდ განყოფილებამ დროით უნდა გვაცნობოს ხოლმე თავისი საჭიროებანი. რამდენჯერმე განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ფულით დახმარების შესახებ, მაგრამ იმ დროს მივიღეთ ეს შუამდგომლობანი, როდესაც წევრები მოსკოვიდან წასულ-წამოსულნი იყვნენო. კრებამ მადლობა გადაუხადა გრაფინიას. დასასრულ მოხდა არჩევნები საზოგადოების თავმჯდომარისა და ხაზინადრისა. განყოფილების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ისევ ბ-ნი ლ. გ. ლოპატინსკი, ხოლო ხაზინადრად—პ. მ. მელლერი.

პრესსა

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ რუსული გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ ახალ რედაქტორ-გამომცემლის ხელში გადავიდა: თავადმა თუმანოვებმა ეს გაზეთი ტფილისელ ნაფიც ვექილს კ. ი. ქალანთაროვს დაუთმეს. თუ არა ვცდებით, ბ-ნი ქალანთაროვი თითქმის სულ არ არის ცნობილი მწერლობაში; ვიცით მხოლოდ, რომ იგი ერთხანად „ტიფლისტოკ“-ის მეორე რედაქტორად იყო. ბ-ნ ქალანთაროვს მცირედ შეუცვლია გარეგნული სახე „ნოვ. ობოზრ.“-სი, შეუწყვეტია

ფელეტონი

ვაკვრით

(შენიშვნები და დაკვირვებანი)

თანამედროვე მიწათ-მოქმედების საკვირველებანი

მახსოვს, ამ ათის თუ თორმეტის წლის წინად ი. ჭავჭავაძის „ივერია“-ში ბ. ვაზიანი მოგვითხრობდა თავის „ინგლისის თანამედროვე მეურნეობა“-ში მიწათ-მოქმედების ეხლანდელ განვითარებაზე საზოგადოთ და კერძოდ ბაღოსნობისა და მებოსტნეობის დაწინაურებაზე. გავიდა ათი წელიწადი და რუსულად გამოვიდა გონივრულად და ნიჭიერად დაწერილი წიგნი—„მეურნეობა, საფაბრიკო-საქარხნო და შინამრეწველობა და ხელობა“, თარგმანი კონშინისა (მოსკოვი, 1903 წ.). ავტორი ამ წიგნისა ნათელის აზრით, მარტივად და ნამდვილ მწერლის ხელოვნებით ეხება იმავ საკანს, მაგრამ ბევრად უფრო სრულად, ვიდრე ჩვენი თანამემამულე „ივერია“-ში.

ორივე ავტორი იკვლევდა, თუ რა საშუალებას ხმარობენ თანამედროვე წვრილ ინტენსიურ კულტურაში პარიზის მებოსტნეები, ჯერსეის ფერმერები, ფლანდრიის გლეხები და კერძო კაპიტალისტები და ორივემ აღნიშნეს ერთი საყურადღებო და დამახასიათებელი გარემოება. მეტი წილი მიწათ მოქმედების გაუმჯობესებათა უცნობ მშრომელების საქმე ყოფილა—უბრალო მუშებისა, გლეხებისა ან წვრილ ფერმერებისა. პროგრესი, ეგრე გსთქვათ, ქმნილებაა ანბანის მცოდნე ან ნახევრად მცოდნე მიწის მუშებისა, რომელთაც ბევრი ქალაქელი დემოკრატი, განსაკუთრებით გერმანიაში, აგდებულად ეპყრობა და შეუგნებელ, ჩამორჩენილ ბრბოდ სთვლის.

და ეს ვითომდა „შეუგნებელი“ ბრბო აკეთებს ისეთ საქმეს, რომლის წინაშე განცვიფრებული დგას ზერელე ქალაქელი ბრძენი კი არა, საზოგადო მოღვაწე, მოაზრე, მცოდნე და გულის ტკივილით შემყურე ტანჯულთა და დამშეულთა. ვინც დაკვირვებია ცხოვრებას, იგი იწყებს მიხვედრას, რომ ხალხი, გლეხობა შესძლებს შექმნას ყველასათვის, მოკლე დროში, ისეთი სიმდიდრე, ისეთი ბედნიერება, რომელიც აქამდე სიზმარშიაც არ უნახავთ, თუ კარგი სკოლები აქვს პრაქტიკულ მეურნეობისა და ამ სკოლებში საჭირო ხელობასაც ასწავლიან პრაქტიკულადვე. დაკვირვებული და მოაზრე ხალხი ხედავს, რომ ვიდრე უბრალო უცნობ მუშაკებს მიწისას შეუმუშავებიათ წარმოების ისეთი საშუალებანი და წესები, რომლითაც მოსპობენ ქალაქისა და სოფლის, ხელოსნისა და მიწის დამმუშავებლის დაპირდაპირებას. და ყველაზე უფრო ის აკვირვებს ამ მოაზრე პირებს, რომ ეს უსახელო, უცნობი მუშაკები სულ ცოტას თხოულობენ თავისთვის. „დაგვანებეთ, რომ ჩვენ თვითონ მოვაწყოთ ჩვენი შინაური საქმეებიო,—ამბობენ ისინი,—ნუ ჩაერევით ჩვენ სამეურნეო, სახელოსნო და მომხმარებელ ასოციაციებში; საქმეებსაც ჩვენ მოვუვლით და საზოგადო საქმეებსაც; არ გვინდა არც თქვენი სახელმწიფო კრედიტი, არც მზრუნველობა; ჩვენ თვითონ მოვაწყობთ ყველაფერს, შევქმნით სიცოცხლეს უდაბნოში, დავაშრობთ ჭაობებს და ქვიან-ქვიშიან ადგილებს აყვავებულ ბაღებად ვაქცევთ“...

— სისულელეა, ბოდვაა, უტოპიაა!—ეუბნებიან მიწის მუშაკთ ისინი, ვისაც ჰგონია, რომ თვით ბედისაგან არის დანიშნული „შეუგნებელ“ გლეხთა ბრბოს ხელმძღვანელად.—სანამ არ შეიმუშავებთ მთელი სახელმწიფოსათვის საერთო გეგმას მიწის დამუშავებისას, სანამ არ მოაწყობთ „სამეურნეო შრომის დაჯილდოვებას“, მანამდე შიმშილისა და წვალების მეტი არაფერი მოგელისთ.

— „არ გვინდა არც „შრომის დაჯილდოვება“ და არც საერთო სავალდებულო გეგმა მიწის დამუშავებისა. შეგვაერთებს წარმოების საშუალებისა და წესის ცოდნა, ბრძნებას მოგვცემს თვითონ დედამიწა, მზე და წვიმა, ქარი და სიცივე, მცენარე და პირუტყვი, ერთის სიტყვით, ყველაფერი ის, რაც უნდა დავამუშავოთ და გამოვკვებოთ. ცოდნა ბუნების კანონებისა და მათ გამოყენებისა წარმოებასა და კულტურაში გაგვანთავისუფლებს ჩვენ. შრომა მოაზრე და მცოდნე მუშაკებისა გაგვამდიდრებს ჩვენ“. ამგვარ ან თითქმის ამგვარ პასუხს იძლევიან ის თავდაბალი მუშაკნი, რომელთაც წიგნის საშუალებით თუ საქმით გაუგიათ, რა სასწაულამდე მიუღწევია მიწათ-მოქმედებასა, მებოსტნეობასა და მებაღეობას არა მდიდრებისას და ძლიერებისას, არა კაპიტალისტებისას და მემამულეებისას, არამედ ღარიბებისას და უმიწა-წყლოებისას. მართლა მიწის მფლობელად ხომ არ ჩაითვლება ერთი ქცევის ან დღიურის პატრონი?! ან კაპიტალისტი ხომ არ არის, ვინც ლუკმა-პურის საშოვნელად დღეში ათ საათს მუშაობს სხვისას!—რასაკვირველია, არა და სწორედ ამ წრიდან გვესმის ზემოდ მოყვანილი სიტყვები.

ჩემ წინ სტოლზე პატარა წიგნაკია—„თანამედროვე მებაღეობა-მებოსტნეობა *) მოყვარულთათვის“. მისი დამწერი ორმოც-და-ხუთმეტის წლის მახუცია, ხელობით ლაქია და მსახურებს ზღვის პირად მდებარე ქ. ბრაიტონის ერთ სასტუმროში; მისი გვარი ვინსენტია. ლაქიების წრიდან გამოსულს არც ერთ სკოლაში არ უსწავლია; რაც იცის, თავისით შეუსწავლია და პავშობიდან ხელზე მოსამსახურე იყო. ათის წლის წინად ვინსენტს გული ასტკივდა და ექიმმა გამოუცხადა, რომ თუ ყოველ დღე რამდენსამე საათს არ იმუშავებ ღია ჰაერზე, ჭლექი გიხდება და მოკვდებიო. ღარიბი ლაქია, რომელმაც არც ერთი ხელობა არ იცოდა, არც არაფერი საშუალება ჰქონდა და წერა-კითხვა ძლივს იცოდა, ლაქიობას თავს ვერ დაანებებდა, მაგრამ ის კი მოახერხა, რომ დილას ერთი საათი სამსახურის დაწყებამდე და საღამოსაც ერთი საათი სამსახურის გათავების შემდეგ ზღვის პირად ატარებდა დროს. ერთ მეგობარს ერჩია ვინსენტისათვის, რომ პატარა ნაჭერი მიწა დაექირავებინა და სეირნობის დროს პატარა ბოსტნის გაკეთებისათვის მოენდომებია, როგორც ამას შვრება ხოლმე ეს ათი-ხუთმეტი წელიწადია რამდენიმე ათი-ათასი მუშა და ხელოსანი, ლონდონიდან თუ სხვა დიდ ქალაქებიდან. ვინსენტმა დაიქირავა ზღვის პირად ნახევარ ქცევაზე პატარა ნაჭერი მიწა, ისიც ქვიან-ქვიშიანი, სადაც ქალაქიდან გამოტანილი ნაგავი ეყარა. პირველი ორი წელიწადი მიწის გასუფთავებას და გაპატივებას მოუნდა, მაგრამ რაკი ვინსენტი თავის ამ შრომას ისე უცქეროდა, როგორც ჰიგიენურ ვარჯიშობას, გული არ დასწყვეტია, რომ ეს პირველი წლები ბოსტანს არაფერი შემოუტანია. ლაქიობა ჰქონდა თავის შესანახად.

ვინსენტს თავის დღეში არ უცხოვრია და არ უმუშავნია ბაღსა და ბოსტანში და მებოსტნეობაზე ისეთივე წარმოდგენა ჰქონდა, როგორც ინსტიტუტში მოსწავლე ქალს, რომელიც გულუბრყვილოდ ჰფიქრობდა, რომ გამომცხვარი თეთრი პური ხეებს ასხია. მაგრამ მან იყიდა გასაგებად დაწერილი სახელმძღვანელო მებოსტნეობისა და ამ წიგნის დახმარებით შეუდგა მწვანილეულობისა და ყვავილების გაშენებას. წლიდან-წლამდე მუშაობდა ვინსენტი დილა-საღამოს რამდენსამე საათს, ყოველ დღე სწერდა ნამუშევარ დროს, დანახარჯს, მოსავალსა და ღლეს, ათის წლის შემდეგ, როცა ვინსენტი თავის თოხითა და ბარით მთელ ნახევარ ქცევას ამუშავებს, მან გამოაქვეყნა თავის ათის წლის (1893—1903) დაკვირვებანი და ანგარიში უკანასკნელ მეათე წლისა. საყურადღებოა ამ ლაქიის შენიშვნები და ციფრები. ყოველგვარ მომზადებას მოკლებული იყო ვინსენტი, დიდ სასტუმროში ლაქიობას ეწეოდა, თავის ბოსტანში მხოლოდ თავისუფალ დროს მუშაობდა, მისი ხელმძღვანელი უბრალოდ დაწერილი წიგნაკი და იყო და მისი შრომის შედეგი-კი ისეთია, რომ თუ არ მოწმობა ბევრ პატივცემულ პირისა, ძნელი დასაჯერებელია.

თქვენ თვითონ მოისაზრეთ: ეს ხანში შესული კაცი მუდამ დღე თერთმეტი საათი ლაქიობს, მხოლოდ დასვენების დროს იჩიჩქნება ნახევარ ქცევა ბოსტანში და გასულ წელს ამ ბოსტნის წმინდა შემოსავალი იყო 640 მანეთი! გახსოვდეთ, რომ ვინსენტი სკოლაში არ ყოფილა, წერა-კითხვა თვითონ ისწავლა, მებოსტნეობასა და მებაღეობაზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონია და თუ დღეს ასეთი შემოსავალი აქვს, ამის მიზეზი წვრილი ინტენსიურ მეურნეობის განვითარებაა, რომელსაც ვინსენტი გაეცნო გასაგებად დაწერილ სახელმძღვანელოს საშუალებით. ეს 640 მანეთი წმინდა შემოსავალი ნახევარ ქცევიდან დაუჯდა მას 833 საათის მუშაობა წლის განმავლობაში, ე. ი. ერთი საათის მუშაობა აძლევდა მას თითხმეტ შაურსა და ორ კაპეიკს წმინდა შემოსავალს. აი როგორ მუშაობდა ვინსენტი:

იანვარში—	$16^1/_2$ საათს,	ე. ი. დღეში	$^1/_2$	საათს
თებერვალში	$36^1/_2$	„	$1^1/_4$	„
მარტში	$74^3/_4$	„	$2^1/_2$	„
აპრილში	$91^3/_4$	„	3	„
მაისში	109	„	$3^1/_2$	„
ივნისში	114	„	$3^3/_4$	„
ივლისში	131	„	$4^1/_2$	„
აგვისტოში	86	„	$2^3/_4$	„
სექტემბერში	69	„	$2^1/_4$	„
ოქტომბერში	$40^1/_2$	„	$1^1/_2$	„
ნოემბერში	$32^1/_2$	„	1	„
დეკემბერში	$31^1/_2$	„	1	„

საშუალოდ ჩვენი მებოსტნე დღეში ანდომებდა ბოსტნის მოვლასა და ბოსტნეულობის ბაზარში მიტანას 2 საათსა და 15 წამს.

რას აშენებდა და უვლიდა იგი თავის ბოსტანში? სულ უბრალო ბოსტნეულობას—მუხუდოს, ცერცვს, სალათას, სტაცურს, კარტოფილს, კომბოსტოს, სტაფილოს, ჭარხალს, თარხუნს, ხახვს, წიწმატს, წითელ ბოლოკს, სოკოს, მოცხარს, მარწყვს. უფრო ძვირფას ბოსტნეულობას—ბადრიჯანს, წითელ ბადრიჯანს, კიტრს, ნესვს, საზამთროს, ყურძენს და ხილეულობას—

---

*) სიტყვა gardening ნიშნავს მებაღეობას, მაგრამ ინგლისში მებოსტნეობაც მებაღეობაში შედის.

ძველი ნუმერაცია და 14 ნოემბრიდან გაზეთი პირველი ნომრით დაიწყო. პირველ ნომერში, როგორც წესად არის, მოთავსებულია საპროგრამო წერილი ახალ რედაქციისა. თავში იგი სიხარულს აცხადებს: მოღვაწეობას დაწყება მოგვიხდა იმ დროს, როდესაც ახალმა მინისტრმა თავ. სვიატოპოლკ-მირსკიმ ნდობა გამოუცხადა საზოგადოებრივ დაწესებულებებს და მათ შორის პრესსასაც. შემდეგ ჩამოთვლილია ყველა ის, რაც რედაქციას საჭიროდ მიაჩნია კავკასიისთვის და რის სამსახურსაც იგი აპირებს. პირველი, რა თქმა უნდა, თვითმმართველობაა. ერობა, რომელმაც ასეთი ნაყოფი გამოიღო შიდა რუსეთში, ახალ რედაქციას ჩვენის ქვეყნისთვისაც საკეთილოდ მიაჩნია. სასურველად და საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება, დაბალ და საშუალო სკოლების გამრავლება და უმაღლეს სასწავლებლის დაარსება.

რაც შეეხება ეროვნულ საკითხს, კავკასიის ამ უდიდეს სატკივარსაო,—ამბობს რედაქცია დასასრულ,—იგი შეცდომით არის გამოწვეული, რადგან ერთა შორის შუღლის ჩამომგდებთ დაავიწყდათ ქრისტეს ის მცნება, რომ ხალხნი ძმები არიანო. რედაქციას სწამს, რომ კავკასიაში შესაძლებელია ერთმანეთის ხელშეუშლელად სხვა-და-სხვა ერთა განვითარება და წინსვლა.

როგორც ჰხედავთ, ახალი რედაქცია ახალს თითქმის არაფერსა გვპირდება: იგივ ერობა, იგივ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, სკოლები და უნივერსიტეტები, მაგრამ, რა თქმა უნდა, საქმე მარტო პროგრამა არ არის: საქმე პროგრამის განხორციელებაა და ამ მხრივ ვუსურვებთ ახალ რედაქციას მეტ მხნეობას, უნარს და გულწრფელობას. მით უმეტეს ვუსურვებთ წარმატებას, რომ „ნოვოე ობოზრენიე" შედარებით ხნიერი გაზეთია, რომელმაც სახელიც-კი მოიპოვა. ეს გაზეთი 1843 წელს აწ უკვე განსვენებულმა ნაფიცმა ვექილმა სტეპანოვმა (ტომით რუსმა) დააარსა. ოთხი თუ ხუთი წლის შემდეგ გაზეთი ბ-ნ ნ. ნიკოლაძის ხელში გადავიდა. ეს ხანა საუკეთესო ხანა იყო „ნოვოე ობოზრენიე"-ს არსებობაში. ბ-ნ ნიკოლაძის გულად და ნიჭიერ კალმის მეოხებით „ნოვ. ობოზრ." ფურცლებზე სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა. 1891 წელს „ნოვ. ობ." თავადმა თუმანოვებმა შეიძინეს და მას აქეთ დღემდე იმათ ხელში იყო.

⁂

გაზ. „ნოვოსტი"-ში მოყვანილია ერთი საოცარი მაგალითი.

პეტერბურგში ამას-წინად ერთი ადგილობრივი ვაჭარი ჩერნიკოვი დაიბარეს პოლიციაში და გამოუცხადეს სადგურ „ბელაია"-დან მიღებული ბოქაულის განკარგულება. „ბელაია"-ს ბოქაული სწერდა პეტერბურგის იმ ნაწილის ბოქაულს, ჩერნიკოვი გამომიგზავნეთ, რადგან ამა და ამ კაცისაგან გადახდილი ფული უნდა ჩავაბაროო. პეტერბურგის საბოქაულო ძალად გაგზავნას უპირებდა ჩერნიკოვს, რომელმაც ბევრი ილოდვილა, სანამ ორი კვირის ვადა მისცეს თავის შინაურ საქმის მოსაწყობად. ყველა ეს უფრო საარაკო ამბავს ჰგავს, გაზეთში სწორად და სავსებით რომ არ იყოს მოყვანილი ნო [illegible] ული სად. ბელაიის ბოქ [illegible] ულება და პეტერბურგის საბოქაულოს ასლი. ვაჭარი ჩერნიკოვი კინაღამ ეტაპით სატუსაღო ვაგონით არ გაგზავნეს თავის საკუთარ ფულის მისაღებად.

⁂

სახელგანთქმულ ამერიკელ ფილოსოფოსისა და ბუნებისმეტყველის ჰენრი თოროს ნაწერებში ამოვიკითხეთ შემდეგი საყურადღებო აზრები დღევანდელი მწერლობისა ადამიანის ენისა და აზრის გათახსირებისა, და უფერულობის შესახებ. თოროს აზრით, ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ადამიანმა ბუნებასთან ცხოველმყოფელი კავშირი დაჰკარგა, ქალაქს შეაფარა თავი და ამ ქვის საპყრობილეში დაუჩლუნგდა პოეტური გრძნობა, იმის სიტყვა—პასუხსა და მსჯელობას ბუნებრივი ელფერი და სიცოცხლე მოაკლდა.

ხშირად გაიგონებთ ხოლმე ჩივილს,—ამბობს თორო,—რომ გარეული მტრედები სადღაც გაჰქრნენ, ძვირი სტუმრები არიან ჩვენ ქვეყანაშიო. მართლაც, ისინი ველარ პოულობენ საჭირო საკვებს ჩვენს ტყეებში. როგორც სჩანს, ადამიანის თავისუფალი და ცოცხალი აზრებიც სადღაც გადიხიზნენ, ჩვენ გრძნობა-გონებაში მათთვის საჭირო ნიადაგს ვერ პოულობენ. ჩვენი სულის წალკოტი გადაკაფულია, ედემის ხეები გაუმაძღარმა ადამიანმა შეშად დააპო პირად კეთილდღეობისა და მყუდროების კერის გასათბობად,—ერთი პაწია ტოტიც-კი აღარ დასტოვა, რომ თავისუფალი პაწაწინა მხატვრულ-პოეტური აზრი ზედ შემომჯდარიყო. და აზრები აღარ ბუდობენ ჩვენ სულში, აღარ ცხოვრობენ ჩვენთან. ხანდა ხან, წამიერად გვეუფლება ხოლმე ბედნიერება, რაღაც სანეტარო გრძნობა გაჰკრავს ფრთას ჩვენს სულსა და გულს და იმ წამსვე ჰქრება, ცხრა მთას იქით გადაფრინდება, ჩვენ შევყურებთ ზეცას და არ გვესმის, გამოთქმაც არ შეგვიძლია, თუ რა გრძნობა იყო ეს გამოვლილი გრძნობა.

ჩვენი დღევანდელი აზრები შინაურ ქათმებად იქცნენო,—ამბობს ჰენრი თორო,—რომელნიც ჩვენ ვიწროდ შემოფარგლულ მსჯელობის ეზოს ღობეს ვერ გადაფრინდებიანო.

მეტად საგულისხმიერო სიტყვებია ეს სიტყვები. თორომ პრაქტიკულად, თავის ცხოვრებაში გამოსცადა მისგან აღიარებული ჭეშმარიტება, ბუნებას დაუბრუნდა, მეურნეობდა თავისუფალ დროს, მწერლობდა და ჩვენ თვალ-წინ დევს მისი მხატვრულ-ფილოსოფიური ნაწერები, სიცოცხლით სავსე, ყველასათვის ადვილ გასაგების ენით და თან ღრმა-აზრიანად დაწერილი. თორო სამართლიანად ამბობს, რომ ქალაქელი კაცის მსჯელობა სურათოვან ენას, მხატვრობას მოკლებულია, რადგან ქვის კედლებში მომწყვდეულ ადამიანის სული სურათების წყაროდ ვერ გადაიქცევა, ცხოველ-მყოფელ ნიადაგს მოშორებულია, მხატვრულ-პოეტურ ბუნებასთან კავშირი დაკარგული აქვსო.

სასამართლო

I

1898 წლის აგვისტოს სოხუმში მცხოვრებმა ნიკოლოზ პეტროვმა სოხუმის ოლქის უფროსისათვის უცნობებია, რომ ზუგდიდის მაზრის სოფელ ნაჯიხევის მცხოვრებმა ამბაკო ჩიტაიამ 8000 ფუთით მეტი დაფნის ხე ჩააბარა ერთ ფრანგის სავაჭრო ფირმას, მაშინ როდესაც ხაზინასთან ხელშეკრულებით ჩიტაიას სახაზინო ტყეში გაცილებით ნაკლები უნდა მოეჭრაო. ამ განცხადების შემდეგ შესდგომიან ჩხრეკა-ძიებას და პასუხისგებაში მიუციათ ამბაკო ჩიტაიასთან ერთად, ქური და იგლიანე ჩიტაიები და ქრისტეფორე მელია. ამბაკო ჩიტაიას ამ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ უცვნია და როგორც გამომძიებელთან, ისე ნოვოროსიისკის ოლქის სასამართლოში საქმის გარჩევის დროს განუცხადებია: სიჯარით აღებულ სახაზინო ტყიდან მუშებს გამოვატანინე 30,000 ფუთი ხე, ხეების გამოტანა ტყეებიდან დასრულდა 1898 წლის იანვარსა და მარტის ბოლო რიცხვებამდე და შემდეგ როგორც მე, ისე ჩემს ამხანაგებს იქიდან ერთი ხეც აღარ გამოგვიტანიაო. ხეები მე ჩემს ამხანაგებთან ერთად ავწონე მთავრობის მოხელეების თანადასწრებით. მაშინ იმდენი წონის გამოვიდა ხე-ტყე, რამდენის გამოტანის ნება გვქონდა, ხოლო შემდეგ, როგორ მოხდა, რომ ხემ წონაში მოიმატა, არ ვიცი. შეიძლება სასწორები გაფუჭდაო. დანარჩენ ბრალდებულთაც თავი დამნაშავედ არ იცნეს. ნოვოროსიისკის ოლქის სასამართლომ ყველა ბრალდებული გაუმართლებია, გარდა ამბაკო ჩიტაიასი, რომელიც დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია ყოველისავე განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთი წლით გაგზავნა. ტფილისის სამოსამართლო პალატას ამ რამდენისამე ხნის წინად უცვლელად დაუმტკიცებია ოლქის სასამართლოს განაჩენი, მაგრამ ბრალდებულის შუამდგომლობის თანახმად სენატს გაუუქმებია პალატის განაჩენი და ხელ-ახლად დაუვალებია ამ საქმის გარჩევა. პალატამ ჩიტაიას საქმე გაარჩია 13 ნოემბერს. ბრალდებულს იცავდა ნაფ. ვექ. თავ. ფაღავა. პალატამ ჩიტაია გაამართლა.

II

შაბათს, 13 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ქუთაისის მცხოვრების პავლია გიგოს ძის კორტისა, რომელმაც 1903 წელს შორაპნის სამაზრო გამგეობის მოხელე ნიკოლოზ შმაკინი დააბეზღა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან და აცნობა, რომ შმაკინი ქრთამებს და პაჩუქრებს იღებსო. შმაკინს ქრთამები მიუღია პანჩულიძისა, ნემეიშვილისა, აბულაძისა და სხვათაგანო. ქუთაისის ოლქის სასამართლოს კორტი დამნაშავედ უცვნია ცრუ დაბეზღებაში გადაუწყვეტია ერთი თვით პოლიციასთან დაპატიმრება. პალატამ გაამართლა კორტი.

რუსეთის ქრონიკა

◆ ეკატერინოსლავის საოლქო სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი გასულ წელს მომხდარ უწესოების მონაწილეთა შესახებ. 14 კაცი გაამართლეს, დანარჩენებს გადაუწყვიტეს სატუსაღო როტებში გაგზავნა 4 თვიდან 3 წლამდე.

◆ ამ მოკლე ხანში ისევ დაიწყება მოქმედება პეტერბურგის თავისუფალ საეკონომიო საზოგადოებისა. ამ საზოგადოების მოღვაწეობა ცნობილი იყო მთელ რუსეთში და, მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, იგი იძულებული გახდა თავისი მოქმედება შეეწყვიტა. წინა დროებში საზოგადოების სხდომები ყველასათვის საინტერესო იყო და მრავალი ხალხი ესწრებოდა. მთავრობამ განსაკუთრებული კომისია დანიშნა ამ საზოგადოების წესდების განსახილველად. კომისიამ 1898 წ. დაასრულა მუშაობა და მას აქეთ საქმე გაჩერებული იყო. მხოლოდ ამ ბოლო დროს აღძრა საზოგადოების თავმჯდომარემ შუამდგომლობა საზოგადოების მოქმედების განახლების შესახებ. მინისტრი თანაგრძნობით მიეგება თავმჯდომარის თხოვნას.

◆ რუსეთში ბატონ-ყმობის მოსპობის დროს სანადელო მიწების ფასი ხაზინამ მისცა მემამულეებს და ეს ვალი გლეხებს დააკისრა. მას აქეთ რუსეთის გლეხები უკვე 43 წელიწადია იხდიან ყოველ წლიურ გადასახადს ამ ვალის სარგებელსა და თავნს, რაიცა მძიმე ხარკად დააწვა ისედაც ძლიერ გაპოვრებულ გლეხობას. ერობას არა ერთხელ აღუძრავს შუამდგომლობა ამ გადასახადის მოსპობის შესახებ. მთავრობამ მხოლოდ ამ ჟამად მიაქცია ყურადღება ერობათა შუამდგომლობას. ფინანსთა სამინისტროს დაავალა, თავისი აზრი გამოსთქვას ამ საკითხის შესახებ. ხმებია, რომ ფინანსთა სამინისტრო თანაუგრძნობს ამ გადასახადის მოსპობას.

◆ პეტერბურგის სტუდენტების ერთმა ჯგუფმა დააარსა საზოგადოება „დენნიცა", რომლის მრწამსი—ვიწრო შოვინისტური პატრიოტობა იყო. ამ ჟამად ხმა გავრცელდა, რომ ამ რეაქციონერ ახალგაზრდათა ჯგუფი დაირღვა და „მოსკოვის ვედომოსტ"-ების მოწაფეთა მოქმედება მოისპოო.

◆ ამ დღეებში რუსეთის სახაზინო რკინის გზებმა წარუდგინეს გზათა სამინისტროს შემუშავებული ახალი წესები რკინის გზის მოსამსახურეთა მუშაობის განწესრიგების შესახებ. გზათა სამინისტროს განსაკუთრებული კომისია განიხილავს წარდგენილ წესებს.

◆ პეტერბურგის იურიდიული საზოგადოება ერთ ფრიად საყურადღებო დასკვნას დაადგა: სასურველად სცნო შემოღებულ იქმნას სასამართლოებში ახალი წესი იმათთვის, ვინც პირველად ჩაიდენს დანაშაულს. სასამართლო სასჯელს გადაუწყვეტს, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესრულებული, თუ ბრალდებულმა მეორეთაც ჩაიდინა დანაშაული.

◆ ერთი სატახტო ქალაქის გაზეთის თანამშრომელი ეწვია რუსეთის სახელ განთქმულ მწერალს ლ. ნ. ტოლსტოის და აუწყებს გაზეთს, რომ ტოლსტოი ამ ჟამად კალენდარს ადგენს, რომელსაც გამოსცემს მოსკოვის წიგნის გამომცემელი ფირმა „პოსრედნიკი". ეს კალენდარი შარშანდელზე უფრო შევსებული და შემუშავებული იქნება. ტოლსტოიმ ამოკრიბა ფილოსოფოსთა სხვა და სხვა ნაწერებიდან საყურადღებო აზრები, კალენდრის თვითეულ ფურცელზე რამდენიმე აზრი მოათავსა და თავისი აზრი მოაწერა. კვირის ფურცლებზე კი მოთავსებული იქნება სხვა და სხვა ამბები სხვა ავტორებისა და ტოლსტოისა, განსაკუთრებით ამ კალენდრისთვის დაწერილი. ამ ჟამად ტოლსტოი ხელახლად კითხულობს კანტის ფილოსოფიურ ნაწერებს და იქიდან საყურადღებო აზრებს კრებს. ტოლსტოი ჯანსაღად და მხნედ არის და ბევრს მუშაობს.

სკოლა და ჰიგიენა

წერილი IV *)

რაგინდ კარგი იყოს მოწყობილი სკოლა ნიადაგისა, შენობისა, ჰაერისა, გათბობისა და სასმელ წყლის მხრივ, რაც უკვე მოკლედ წინა წერილებში განვმარტეთ, მაინც არ შეიძლება ამნაირი სკოლა ჰიგიენურად სრულიად უნაკლულო იყოს, რადგან აღნიშნულ საკითხებს გარდა, სხვა არაერთი და ორი საკითხია, რის უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია. მაგ., სკოლებში ზომიერ სინათლის დაცვას და სკოლების სტოლებს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვების ჯანმრთელობისთვის და ამიტომ ამ ორ საგანზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას.

მზის სინათლეს დიდი ფიზიოლოგიურ-ჰიგიენური მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ცოცხალ სხეულისათვის. თუ მკითხველი მოიგონებს გაზაფხულის დღეებს,—როდესაც სინათლე ბლომადაა მოფანტული ბუნების კალთებზე, მომატებულ მხნეობით მოძრაობას, მოქმედებას, სხვა-და-სხვა დაბრკოლების ადვილად ძლევას, სიცოცხლისადმი სიხალისეს და თუ ყველა ამას შეადარებს მოღრუბლულ მოღუშულ მტირალა ცის ადამიანზე გავლენას, მაშინ დარწმუნდება აღნიშნულ აზრის სიმართლეს.

გარდა ფიზიოლოგიურ ჰიგიენურ მნიშვნელობისა სინათლეს სხვა მნიშვნელობაც აქვს ჯანმრთელობისთვის. სინათლე ერთის მხრივ ხელს უშლის სხვა-და-სხვა გადამდებ ავადმყოფობის გავრცელებას, რადგან სენის მჭმნელ ბაქტერიების გავრცელებას აბრკოლებს, და მეორეს მხრივ სისუფთავის დაცვა უფრო ადვილია საკმაოდ განათებულ ბინებში. ამრიგად, სინათლე საჭიროა ბინებისთვის და, მაშასადამე, სკოლებისთვისაც. ის სკოლა, რომელიც საკმაოდ არ არის განათებული, გარდა სხვა ვნებისა მოსწავლეებს უფუჭებს მხედველობას. თუ რითმე შეუძლიათ დაიკვეხონ ეხლანდელმა სკოლებმა, ეს მხოლოდ იმით, რომ ფიზიკურად დამახინჯებულებს და მხედველობით სუსტებს ამრავლებენ. რასაკვირველია, მხედველობით სუსტნი არიან დაბადებითაც, მაგრამ უმთავრეს შემთხვევაში არსებულ სკოლების ბრალია. ხანდახან მხედველობით სისუსტეს მეტის-მეტად საშიშარი შედეგი მოჰყვება ხოლმე, მაგ., მხედველობის სრულიად დაკარგვა ანუ დაბრმავება. თუ რამდენად დიდ სიმდიდრეს ესალმება ამ შემთხვევაში კაცი, ამის დაფასება შეუძლიან მას, ვისაც სადი მხედველობა ჰქონია, მაგრამ სამუდამოდ დაუკარგავს იგი. სკოლამ რომ ვნება არ მიაყენოს ბავშვების მხედველობას, საჭიროა ყურადღება მიექცეს შემდეგ მარტივ ზომებს.

იმ მხრიდან, საიდანაც სინათლე შემოდის, მცენარეები და შენობები არ უნდა იყოს, რომ არ დააბრკოლონ სინათლის სკოლაში შესვლა. ჰიგიენისტები ერთხმად ამბობენ, რომ მჯდომარე ბავშვების მარცხენა მხრიდან უნდა შემოდიოდეს სინათლე. თუ მარჯვნივ მხრიდან შემოდის სინათლე, მაშინ წერის დროს მარჯვენა ხელის ჩრდილი აბნელებს ადგილს და ამრიგად ხელს უშლის მოსწავლეს. უკანიდან განათების დროსაც ჩრდილი თავისა და სხეულისა აბნელებს წინა ადგილს. წინიდან განათება კი მხედველობას ასუსტებს, მოსწავლეს უძნელებს თავისუფლად წერა-კითხვას. ზოგიერთ პირობების წყალობით სკოლის მარცხნივ განათება საკმაო არ არის და ამ შემთხვევაში დამატებით ფანჯრებით სარგებლობენ. დამატებითი განათება არამც და არამც წინიდან არ უნდა მოეწყოს. უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ფანჯრები მარჯვნივ. მარცხნივ ფანჯრებთან შედარებით მარჯვენა ფანჯრები უფრო ზევით უნდა იყოს აწეული. სარგებლობენ აგრეთვე დამატებითი ფანჯრებით უკანიდანაც. საზოგადოდ სკოლის ფანჯრები მაღალი და განიერი უნდა იყოს. ფერად მინებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ფანჯრებში. განუმჭვირვალი მინებიც მავნებელია. ფანჯრების მინების ზედაპირი 4—6-ჯერ ნაკლები უნდა იყოს იატაკის ზედაპირზე. საზოგადოდ, სკოლაში სინათლე იმდენი უნდა იყოს, რომ სკოლის ყოველ ადგილზე მხედველობის ძალდაუტანებლად წერა-კითხვა შეიძლებოდეს. მეცადინეობის დროს თვალებსა და წიგნს შორის მანძილი უნდა იყოს თერთმეტი გოჯი. სასურველია, სკოლის შენობა თავიდანვე ისე აშენდეს, რომ იგი დამატებით განათებას არა საჭიროებდეს.

რაც შეეხება ამ წერილის დასაწყისში აღნიშნულ მეორე საკითხს—სკოლის სტოლებს,—ამის შესახებ შევნიშნავთ იმას, რომ სკოლის ცუდად გაკეთებულ სკამებზე ჯდომას დიდი ვნება მოაქვს, რასაც შედეგად ხერხემალის გამრუდება, სუნთქვის გაძნელება და სხვა უბედურება მოსდევს. რუსეთში საერობო სკოლები შედარებით უკეთესადაა მოწყობილი, მაგრამ იქაც-კი თვალსაჩინო ნაკლულევანებას შეადგენს ცუდი სტოლები. ვორონეჟის გუბერნიის საერობო სკოლების 5804 მოსწავლეში 1064 მოსწავლეს (18, 3% აღმოუჩნდა ხერხემლის გამრუდება. მხარბეჭი უთანასწოროდ ჰქონდა ხასმული მოსწავლეთა დიდ ნაწილს. ამნაირი მაგალითები სხვა საერობო სკოლებშიაც ხშირია. სტოლების წყალობითვე ბავშვებს გულის ფიცარი შესაფერად არ უვითარდებათ. ასეთი ნაკლი აქვს საერობო სკოლებს და აბა რაღა ითქმის ჩვენს სკოლებზე, რომელნიც ყოველის მხრივ ჩამორჩენილნი არიან. თავიდანვე მასწავლებელმა უნდა შეაჩვიოს ბავშვები სწორედ ჯდომას ამ საქმეში სტოლი ხელს არ უნდა უშლიდეს. საჭიროა მჯდომარე ბავშვის სხეული ძალდაუტანებელ მდგომარეობაში იყოს, სისხლის მოძრაობა უნდა ჰხდებოდეს მთელ სხეულში, მაშასადამე, ხელ-ფეხშიაც, დაუბრკოლებლად. ხერხემლის სვეტს მისაყრდნობი უნდა ჰქონდეს. სამოსწავლო ნივთები მეცადინეობის დროს ზომიერ მანძილზე უნდა იყოს. მთელი ფეხისგული უნდა ეხებოდეს იატაკს; ფეხები ერთმანეთზე არ უნდა იყოს გადადებული, რადგან ამით შეიძლება მენჯისა (ТАЗЪ) და ზურგის ხერხემლის ძვლების გამრუდება; სტოლზე ხელები უნდა ეწყოს თანასწორად, ერთი მხარბეჭი მეორეზე უფრო ზევით არ უნდა იყოს აწეულ-დაწეული. თავი ბავშვს უნდა ეჭიროს სწორედ, წიგნი და რვეული უნდა იყოს ბავშვის პირდაპირ.

ამ წერილის დასასრულ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სხვა-და-სხვა პირობების გამო ვაჟის სხეულზე უფრო სუსტი და ნაზი ქალის სხეულია; ამიტომ იმათზე უფრო ცუდი გავლენა აქვს არა სწორედ ჯდომას და არა ზომიერ განათებას. სკოლამაც მეტი ყურადღება ქალებს უნდა მიაქციოს.

დორპატელი

წერილები

კახეთი. ვერც ქირნახულის წლევანდელმა მოსავალმა დააკმაყოფილა კახეთის მუშა. პური საერთოდ საშუალოზე ნაკლები მოვიდა, ზოგ სოფელში უფრო ნაკლებიც. ამინდმა ძლიერ შეუშალა ხელი. როცა ავდარს ჰსაჭიროებდა, გვალვა დაუდგა და როცა დარს—ავდარი. სოფლელი კაცი პურის სიმცირეს არას ინაღვლიდა, სიმინდი რომ საკმაო მოჰხვლოდა, მაგრამ წელს სიმინდის მოსავალი გვალვისა გამო მცირედი იყო, ნამეტნავად გამოღმა მხარეს. საზოგადოდ გაღმა, ალაზნის მარცხენა მხარეს, მარცვლეულობის მოსავალი სჯობდა. ჯერ გამოღმა მხრის სოფლებს გაზაფხულამდე ძლივს შეჰყვება წლის სარჩო, ზოგს ზამთარშივე დააკლდება და იძულებულნი იქნებიან ნაყიდ პურით გამოიკვებონ ახალ მოსავლამდე. რაც მხვნელ-მთესველს მოსავალი მოჰყავს, ოჯახში რომ შეჰქონდეს, თავისუფლად ეყოფა ახალ მოსავლამდე, მაგრამ ასე არ არის. თუ სხვის მიწას ნაწილზე ხნავს, ხომ ნათოხალს აძლევს; ახლა რაც მასა რჩება, ჯერ ისევ კალოზედვეა, რომ დაიწყებენ ზიდვას: მოხელეები, ერი, ბერი, მღვდელი, მოვალე და სხვა. ყველას თავისი საწყაო მიაქვს და თავისებურად წყავს. უმაღლესად დამტკიცებული ძალით ხორბლეულობის წყვილიტრა, კოდი, ჩაფი და სხვ. მოსპობილია და იმის მაგიერ საწყაო უნდა იწონებოდეს. ამის შესახებ მაზრის უფროსმაც გამოაცხადა. თუ არა ვცდები, სოფლებშიაც განაჩენები დაადგინეს, რომ ამა და ამ კანონის ძალით მოსპობილია წყვა, ლიტრის მაგიერ უნდა იწონებოდეს. ამასთან კანონის დამრღვეველნი, ესე იგი ვინც ისევ კოდობით დაიწყებდა წყვას, პასუხის გებაში მიეცემიანო და სხვა. სოფლებში გამოაცხადეს, განაჩენები დაადგინეს და მორჩა. ვითომ სიტყვაც არავის უთქვამს აქაზე, ისევ ისე სწყამენ, ყიდულობენ, მიაქვთ ან იღებენ ვალში და სხვა. ყველა კანონი რომ ნამდვილად საქმით სრულდებოდეს, ხომ ეს ხალხისთვისაც კარგია და ჩვენი სოფელიც ასეთ მდგომარეობაში არ იქნებოდა, როგორშიაც ეხლაა.

ლამის საქონლის ჭირი მთელ თელავის მაზრას მოედოს, როგორც 1902—1903 წლებში. ჯერ იყო ერთ ზემო სოფლებში, ამ მხარეს თვით თიანეთის საზღვრამდე თითქმის ყველა სოფელი შემოიარა. თუმცა ჭირის გაჩენისათანავე ბეითლებიც გაჩნდნენ და იქ იმყოფებიან, მაგრამ სენი აქამდე არ მოსპობილა. მცხოვრებნი კი ჯერ ერთი საქონლიდან ცარიელნი რჩებიან და მეორე კიდევ—ხარჯის გარდა, რომელიც საგრძნობლად აწვებათ კისერზე, საქმიდან იცარებიან. საქონელს უცხიან, აცრილს ველარ ამუშავებენ და იმის გამო ბევრი უხნავ-უთესი რჩება. მოსპობის მაგიერ ჭირი უფრო ვრცელდება, ახლა გაღმა მხარეს—ს. ლალისყურში ამოჰყო თავი. ალაზნის მარცხენა მხარის სოფლებში სრულებით არ იყო პირუტყვზე სატკივარი. რაკი ერთ სოფელში გაჩნდება, ეჭვი არ არის სხვა სოფლებსაც ადვილად ეწვევა ეს ძალად სტუმარი.

გლეხების მიერ ქურდების სასტიკად დასჯის შემდეგ ყველას ეგონა, ეს არის ვეშველეთ ჩვენ თავს, ქურდობა მოვსპეთო. ის-კი არა თუ, სწორედ იმ დროს, როცა ასე სჯიდნენ, ს. კალაურში კიდევ ქურდობა მოხდა—ცხვრები დაიპარეს. ამავე ცვაწვალებამ აღმოაჩინა, რომ ბოროტ-მოქმედთა ერთი თანამოზიარე ყოფილა სოფლის თერთმეტ კაცში ამორჩეული, რომელიც სცემდა და სწორედ ამ დროს გაემხილათ. ამასთან არ შეიძლება ისიც არ აღვნიშნოთ, რომ სოფლის ამორჩეულთ მეტად ბოროტად მოიხმარეს ნადავლი. რაც წამოეღოთ, ან საკლავი დაეკლათ, სულ თვითონ მოეხმარათ და ქეიფი გაეწიათ.

დიმიტრაშვილი

ს. ხიმში (რაჭა). ს. ხიმშის ერთ ნაწილს ეწოდება კლდის უბანი, სადაც 1902 წელს ივნისში მოსწყდა მიწა და რამდენიმე კომლის ადგილი წაიღო მეწყერმა. დაეღუპათ სახლ-კარი, პურ-მარანი, სამოსახლო და ვენახები. მაშინ მოვიდნენ რაჭის მაზრის უფროსის თანაშემწე და ამბროლაურის მაშინდელი ბოქაული, თვითეულ კომლის ზარალი ასწერეს და აღუთქვეს ხალხს ვიშუამდგომლებთ მთავრობასთანო, რათა რამე შემწეობა აღმოგეჩინოთო. მას აქეთ აგერ ორი წელიწადი მიდის და აღარაფერი ისმის. ვინ იცის, იქნება ქაღალდიც კი არსად გაგზავნილა. შემწეობას ვიღა იჩივლებდა, რომ გზა მაინც გაეკეთებინათ.

ვანო ჭიჭინაძე.

იგი ხედს ვერ ჰკიდებდა ცივი ქარისა და მკაცრ ჰავის მიზეზით.

კარგით,—გვეტყვიან,—მაგრამ თუ 640 მანეთი აიღო წმინდა შემოსავალი ნახევარ ქცევიდან, ეს იმიტომ მოხდა, რომ ბრაიტონში და საზოგადოდ ინგლისში ყველა ეს ბოსტნეულობა ძალიან ძვირი არისო. მართალია, აქ ყოველი მწვანილი უფრო ძვირია, ვიდრე ჩვენში, მაგრამ არც ისე დიდი განსხვავებაა: შეიძლება სამჯერ ოთხჯერ, ხუთჯერ მეტი იყოს ფასი—რაც ჩვენში კაპეიკი ღირს, აქ შაურს მისცემთ; თუნდა 8 ან 10 კაპეიკიც ღირდეს, მაინც გამოდის, რომ თუ ყოველ დღე $2^1/_4$ საათს იმუშავებ ბოსტანში დია ჰაერზე, თუნდა ტფილისში, შეგიძლია აიღო ნახევარ ქცევა მიწიდან 64-იდან ას მანეთამდე. წარმოიდგინეთ ეხლა მოხელე მასწავლებელი ან ხელოსანი, რომელსაც ქალაქ გარედ ერთ ან ორ ვერსტის მანძილზე პატარა ნაჭერი მიწა აქვს. ვინსენტის ბოსტანი ორი ვერსტით არის დაშორებული სასტუმროს, სადაც იგი მსახურებს. განა დასვენება, დატკბობა არ არის, ერთი ორი საათი გაატარო ქალაქ გარედ მწვანეზე ხეხილებსა და ყვავილებ შორის? კანტორის, სახელოსნოს ან თუნდა საშუალო სახლის ოთახის შეხუთულ ჰაერის შემდეგ ნამდვილი ნეტარებაა ერთი-ორი საათი გაატარო სუფთა ჰაერზე, და ბოსტანსა და ბაღჩაში მუშაობა კი საუკეთესო და სასიამოვნო ჰიგიენური გიმნასტიკაა. ის რადა ღირს, რომ სახლში მიიტან ახალ ხილს, მწვანილს, ყვავილებს, თქვენის შრომა-დასვენებით მოყვანილს! ვისაც ყვავილებისათვის მოუვლია, მან იცის რა მზრუნველობით და სიყვარულით, რა ყურადღებით ადევნებს თვალს თვითეულ მცენარის ცხოვრებას, ზრდასა და განვითარებას. არ ვიცი, რა თვალით შეხედავს ამას მასწავლებელი, მოხელე, კანტორაში მოსამსახურე და საზოგადოდ ინტელიგენტი, მაგრამ ხელოსანს და მუშას და ყველა იმათ, ვისაც რამე შეუქმნია თავის ხელით, ვისაც მზრუნველობას რომელიმე მცენარე გაუზრდია, ამ გვარი ბოსტანი და ბაღი გარდა იმისა, რომ ცოტა შემოსავალს მისცემს მის ღარიბ ჯიბეს, ზნეობრივ კმაყოფილებასა და სიხარულსაც აგრძნობინებს.

ვინსენტის ათის წლის გამოცდილება განსაკუთრებით იმით არის საინტერესო, რომ მისი შედეგი არის ნაყოფი ღარიბ მუშის შრომისა პატარა ნაჭერ ქვიან მიწაზე და არა მაღალის ცოდნისა, საგანგებო მომზადებისა, დიდის კაპიტალისა, სასტიკ რეგლამენტაციისა და ხელმძღვანელობისა. გასაგებ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელო მებოსტნეობა-მებაღეობისა იყო ის იარაღი, რომლითაც შეაძლებინა მას ქვიანი ნაჭერი მიწა ოქროს მადნად გადაექცია, მხოლოდ ამ ოქროს იგი ჰკრეფს მწვანილის, ხილის და ყვავილების სახით. თანამედროვე მეურნეობის მდგომარეობა ისეთია, რომ მეცადინე მშრომელს, თუნდ მოუმზადებელსაც, დამუშავებული ნაჭერი მიწა მისცემს 15-ჯერ და 25-ჯერ მეტსაც, ვიდრე ამ ორმოცდაათის წლის წინად აძლევდა იგი ჩვენ მამებს. ვიმეორებთ, თვითონ მეურნეობის განვითარებაზე უკვე ბევრი დაწერილა, ჩვენს პრესაშიაც კი; ტეხნიკაზე, იარაღზე, წესებზე და სისტემებზე, მიწის დამუშავებაზე და სხვ. ევროპაში ურიცხვი წიგნებია დაბეჭდილი. ყველა ამას მსურველი ადვილად გაეცნობა. ვინსენტის მაგალითი—სხვა მაგალითებიც ბევრი ვიცით—აქ მოვიყვანეთ ასე დაწვრილებით ჩვენი მკითხველის დასარწმუნებლად, რომ მეცნიერებისა და ტეხნიკის რჩევისა და დარიგების გამოყენება შეუძლია ყოველ მსურველს. ძველი თქმულება—„ქოთნის გამოწვა ღმერთებს გარდა სხვასაც შეუძლია"-ო—გამართლდა.

განსაკუთრებით ჩვენის სამშობლოსათვის, ჩვენის ხალხისათვის არის ძვირფასი უსწავლელ დაქის შრომის შედეგი. თუ სასტიკ, ცივსა და ბურუსიან ინგლისში დასვენების დროს მუშაობით ხანში შესულმა გამოუცდელმა ვინსენტმა ამოდენა მწვანილი და ხილი მოიყვანა, რას არ მოიყვანენ ამგვარსავე ნაჭერ მიწაზე წერა-კითხვის მცოდნე ახალგაზრდა და ღონიერი გლეხები, რომელთაც გაუვლიათ ოთხ-კლასიანი სამრევლო სკოლა და სახელოსნო განყოფილებით? **მგზავრი.**

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2606.

ომის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
14 ნოემბერი

ტოკიო, 14 ნოემბერი. როგორც ოფიციალურ წყაროებიდან იუწყებიან, უკანასკნელ იერიშის დროს იაპონელებს თითქმის გაუმარჯვნიათ. იერიში მიიტანეს სუნშუშანზე. იერიშები დაიწყო შაბათს, ნაშუადღევს. რუსებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. იაპონელებმა მიზანს ჯერ-ჯერობით ვერ მიაღწიეს. ბრძოლა ჯერ არ გათავებულა. კერძო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ერლუნგშანი თითქმის აღებულიაო. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ იაპონელებმა მოიგერიეს ყველა იერიში, რომელიც რუსის ჯარმა მიიტანა შახესთან ხუთშაბათიდან შაბათამდე.

პეტერბურგი, 14 ნოემბერი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა 13 ნოემბერს. „11 ნოემბერს იაპონელები წინ წამოვიდნენ და იერიში მიიტანეს იმ რაზმზე, რომელიც ცინხეჩენთან იდგა. მაგრამ საღამოთი მტერი სამხრეთის მხარეს უკუ-ქცეულ იქნა. უკანასკნელი ძლიერი იერიში, რომელიც შტიკებამდეც მივიდა, მოიგერია სამმა როტამ პოდპოლკოვნიკის ბრეხსნოვის უფროსობით. ამ როტებმა დიდი ზარალი მიაყენეს იაპონელებს. 12 ნოემბერს, ღამე, იაპონელებმა კიდევა სცადეს ჩვენ რაზმზე იერიშის მიტანა, მაგრამ ჩვენებმა სროლა დაუწყეს და შეაჩერეს. 12 ნოემბერს მტერს ახალი ჯარი მიეშველა ძანჩანიდან. დილის 11 საათზე დაიწყო ბრძოლა ციხოჩენთან ჯერ მარჯვენა ფრთას, ხოლო შემდეგ ცენტრისა და მარცხენა ფრთას წინააღმდეგ. თორმეტ საათზე იაპონელებმა იერიში მიიტანეს, მაგრამ უკუ გდებულ იქმნენ. ჩვენმა არტილერიამ გააჩუმა იაპონელთა არტილერია. ნაშუადღევის ოთხ საათზე ამოვარდა ქარ-ბუქი, მოდიოდა თოვლიც და ამან შეზღუდა არტილერიის მოქმედება. იაპონელებმა ისარგებლეს ბურუსით და ხელ-ახლა გამოილაშქრეს, მაგრამ ჩვენმა ჯარმა თავისი ადგილები შეინარჩუნა. საღამოს შვიდ საათისთვის ბრძოლა მიწყნარდა. ჩვენი ზარალი მცირეა, რადგან ადგილ-მდებარეობას კარგად ვიცნობდით. 12 ნოემბრის ღამეს არ მიმიღია მოხსენებები შეტაკებათა შესახებ.“

გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა 13 ნოემბერს: „12 ნოემბრის ბრძოლაში ჩვენ მოგვიკლეს 9 და დაგვიჭრეს 57 სალდათი. 12 ნოემბრის ღამემ წყნარად ჩაიარა. იაპონელებმა ღამე გაათიეს ჩვენის პოზიციების სამხრეთით და აღმოსავლეთით, 3-4 ვერსის მანძილზე. 13 ნოემბერს დილით ჩვენმა არტილერიამ გაჰდევნა მტრის მოწინავე რაზმები. დილის 9 საათზე იაპონელებმა ხელ-ახლა გამოილაშქრეს. ისინი სცდილობდნენ ჩვენის პოზიციების მარცხენა ფრთის მოვლას, ამავე დროს ზანტად მიიწევდნენ ცენტრის პირდაპირ. სხვა ამბავი აღარ მოსულა. 11 ნოემბრის ღამეს ჩვენ მარჯვენა ფრთაზე პორუჩიკმა ალოლფიმ ორის სალდათით მტრის ადგილიდან გამოიტანა მოკლულ სალდათის გვამი. ცენტრში 12 ნოემბრის ღამეს 12 სალდათმა პოდპორუჩიკის სპრინცეს უფროსობით დაზვერა მტრის ადგილები. რაზმი მოულოდნელად უკანიდან მოექცა მტრის სადარაჯო რაზმს, რომელიც შესდგებოდა 30 კაცისაგან. ჩვენმა რაზმმა სამჯერ ესროლა თოფები და მერე შტიკებით მივიდა. რაზმმა მოჰკლა ოცი კაცი, დანარჩენნი გაიქცნენ. ჩვენი რაზმი უკან დაბრუნდა, მოიტანა ორი მოკლულ სალდათის გვამი და ხუთი თოფი და მოიყვანა ერთი დაჭრილი სალდათი“.

ტოკიო, 14 ნოემბერი. დაიწყო მატარებლების დროებით მიმოსვლა სეულ-ფუზანის გზაზე. სამგზავრო ფასს ფულად იღებენ. პარლამენტის სესსია იწყება 17 ნოემბერს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
15 ნოემბერი

ხუანჰანი, 15 ნოემბერი. დღეს პოზიციებზე ცვლილება არ მომხდარა.

მუკდენი, 15 ნოემბერი. იაპონელთა მეშვიდე სარეზერვო პოლკი ყუმბარებს უშენს რენენკამპფის რაზმს. იაპონელთა ზარალი ძალიან დიდია.

მუკდენი, 15 ნოემბერი. დედოფლის ბრძანებით, ხუანხეს პროვინციის ვიცე-კოროლმა თავის ჯარისთვის შეიძინა ევროპიულ ფორმის ტანისამოსი და სალდათებს კავები მოაჭრევინა. ამან უკმაყოფილება გამოიწვია.—შანჰაიდან იუწყებიან, რომ იაპონელებმა ყოველი ნდობა დაჰკარგეს და ახალ სესხს ვეღარ იღებენო.

დაჭიაპუ, 14 ნოემბერი. ღამე ნანჩანზის მახლობლად შენიშნულ იქნენ იაპონელები, რომელნიც თხრილებს ამზადებდნენ და რომელთაც გვირაბები გადაჰყავდათ ჩვენ პოზიციებისკენ. 8 სამორტირო ბატარეამ 11-ჯერ გაისროლა ყუმბარები. იაპონელებმა თავი მიანებეს მუშაობას და გაიქცნენ. ამ ბოლო დროს იაპონელები მოსვენებას არ აძლევდნენ ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს და იჭერდნენ სამლოცველოს სოფელ ნანჩანზაში. ქვითკირის სამლოცველოდან კარგად უმიზნებდნენ და ესროდნენ ჩვენ სადარაჯოებს. დღეს საღამოთი ჩვენმა სალდათებმა ისარგებლეს სიბნელით, შეიპარნენ ნანჩანზაში და იმათ დახმარებით საპიორებმა ააფეთქეს სამლოცველო. ამის შემდეგ რაზმი თავისს პოზიციებზე დაბრუნდა. ზარალი არ მოსულია.

რაიჭკა. ხარბინიდან მოსკოვისკენ განსაკუთრებით ვაგონებით გაიარა 20 სულით ავადმყოფმა და დაჭრილმა სალდათმა.

ალექსეევო. შორეულ აღმოსავლეთს მიმავალ მსროლელთა ბრიგადის ჯარის-კაცთ აქვთ თან თბილი საცვალი. ფარაჯები: მოკლე ქურქები, შალის საბნები, ფაფახები, ყაბალახები და სხვა. მიდიან ესენი საქონლის ვაგონებით. ამ ვაგონებში რკინის ფეჩი და სხვა მოწყობილებაა, მაგრამ კედლებს არა აკრავს-რა და იატაკიც ძალიან ცივია. ამბობენ, ჩელიაბინსკში უფრო თბილ ვაგონებში გადასხდენო.

დუვრი, 14 ნოემბერი („რეიტერი“). ბალტიის ესკადრის ოთხ თუ ხუთ გემისაგან შემდგარი დამატებითი რაზმი დღეს იყო ლამანშში. 13 ნოემბრის ღამეს ეს გემები დუვრთან იდგნენ. ამინდი ნისლიანია.

მუკდენი, („რეიტერი“). რუსების მოულოდნელი მოქმედება იმ ბრძოლის შემდეგ, რომელიც შახესთან მოხდა, ამტკიცებს, რომ იაპონელებმა ხელი ვერ შეუშალეს რუსის ჯარის მოგროვებას. გაზაფხულამდე რუსებმა უნაყოფო გაჰხადეს იაპონელთა სტრატეგია. გაზაფხულზე მოელიან ცხარე ბრძოლას. ჩინელთა მოხელენი ზ იმებს ხმარობენ ჩრდილოეთიდან პურის მოსაზიდად. ამ პურს განსაკუთრებულ საწყობებში ინახავენ ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

შანჰაი, („რეიტერი“). ამას წინად იაპონელთა წინაშე შუამდგომლობა იქნა აღძრული იმის შესახებ, რომ ნება მიეცათ პორტ-არტურში გაეგზავნათ გემი სამკურნალო საქირურგიო იარაღით. გუშინ კონსულმა აცნობა, რომ იაპონიის სამხედრო მოხელენი ამის ნებას ვერ დართავენ და თუ საჭირო იქნება, იაპონელები თვითონ გაგზავნიან იარაღსაო.

ჩიფუ („რეიტერი“). იაპონელებმა შეიპყრეს სურსათით დატვირთული გემი, რომელიც პორტ-არტურში შესვლას აპირებდა.

ტოკიო („რეიტერი“). გუშინ მოხდა კრება კონსტიტუციონალისტთა და პროგრესისტთა, რომელნიც დეპუტატთა პალატაში უმრავლესობას შეადგენენ. კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ ბრძოლა, რაც უნდა დაჯდეს, ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილიო. პალატის მიერ მთავრობის საფინანსო პროექტების მიღება თითქმის უზრუნველ ყოფილია.

ვაშინგტონი („რეიტერი“). დიპლომატიურ წრეებში ყველამ კარგად იცის, რომ რუსეთის და იაპონიის მთავრობანი სცდილობენ შეიძინონ ამერიკის ნავთსაშენებლებზე წყლის ქვეშ მავალი ნავები და ნაღმიანი გემები.

ვაშინგტონი („რეიტერი“). ამტკიცებენ, რომ შეერთებული შტატები მეგობრულ მონაწილეობას მიიღებენ გულის საქმის მორიგებაში. ამერიკა კომისიის წევრად ერთ დიდ საზღვაო მოხელეს დანიშნავს. საზოგადოება წევრად ადმირალ დევეს ასახელებს. მთავრობა ამ საქმეს ხელად გადასწყვეტს, მაშინვე, როცა მიიღებს ფორმალურ მიწვევის ქაღალდს ინგლისისა და რუსეთისაგან.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა 14 ნოემბერს: „ღამე მიღებულ მოხსენებით, იაპონელებმა ცინხეჩენთან გამოილაშქრეს. მტერი ნაშუადღევის 4 საათამდე გაუბედავად მოქმედებდა; ჩვენმა ჯარმა სროლა დაუწყო და შეაჩერა. თუმცა უკვე სამი დღეა ბრძოლაა, მაგრამ ჯარი მაინც კარგ გუნებაზეა. სხვა მოხსენები შეტაკებების შესახებ 13 ნოემბერს ღამეს არ მოსულა. ზემო აღნიშნულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას“.

15 ნოემბერი.

პეტერბურგი. რადგან გაზეთი „პრავდა“ მავნე მიმართულებას ადგია, შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა, გამოუცხადოს პირველი გაფრთხილება.

ბალტა. ზაკშტეინის ოჯახობის მკვლელნი ნიკოლაევში დააპატიმრეს.

ყაზანი. მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღის სახსოვრად უნივერსიტეტმა წელს 20 სტუდენტი გაანთავისუფლა სწავლის ფულისაგან.

14 ნოემბერი

პეშავერი, 14 ნოემბერი („რეიტ. სააგ.“). ქაბულის მისსია გუშინ წავიდა.

ტროიცკოსავსკი, 14 ნოემბერი (საკ. კორ.). ურგიდან დეპეშით იუწყებიან: დღეს მოვიდა დალაი-ლამა და გრანდანთან მიეგება მონგოლთა დიდძალი სამღვდელოება და ხალხი. დალაი ლამა განდანში გაჩერდა.

მიტავა, 14 ნოემბერი. 1897 წელს მოსკოვ-რიბინსკის რკინის გზის საზოგადოებისაგან დაწყებული მოსკოვ-ვინდავის რკინის გზა დასრულდა.

მოსკოვი, 14 ნოემბერი. კომერციულმა სასწავლებელმა ასი წლის იუბილეი იდღესასწაულა. დაესწრნენ უფროსები და ქალაქისა და წოდების წარმომადგენელნი. ძველმა მოწაფეებმა ვაჭართა მამასახლისს ადრესი მიართვეს. ბალის გასამართავად შეგროვილი ფული წითელ ჯვარს შესწირეს —ქალაქის საბჭოში მოხდა დამფუძნებელი კრება მშრომელ ქალთა შემწე საზოგადოებისა. საქველ-მოქმედო საზოგადოებამ გახსნა სამკურნალო დაჭრილ და ავადმყოფ მეომართათვის.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 12 ნოემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,30
ბერლინისაზე „	47,30
პარიზისაზე „	37,52½
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტა	92
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89⅝
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	424½
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	322
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	272½
5% თბლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% თბლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი თბლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	91
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	244½ „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბა

ბაქო-ტფილისის 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.), 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“
ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ
„ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქ., სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.-

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

პ. ი. ავსარქისოვის

ხანგრგე ყიდის საზღვარ-გარეთის, რუსეთის და კავკასიის ჯიშის ხეხილს. ადრესი **ხად. ხკრა** (ამიერ-კავ. რკინ. გზა). **ავსარქისოვს**. დაწვრილებითი კატალოგები და პრეისკურანტები რუსულად და ქართულად უფასოთ ეგზავნებათ. (10—301—10)

ახალი გახსნილი
სასტუმრო **არკადია** ნომრებით
(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი **ორი** თაკით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. [illegible] და ყავით 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. სალ. (88—52—70)

СѢДЕЛЬН
СПЕЦІАЛЬН
Т.
Безъ конкуренціи
продаются всевозмож. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, ხაზინეულ სასახლის ახლოს. (წ.—176—9.)

ექიმის შპინდლერ-ბარნაის
„მარიენბადის რედუქციური აბები“
სიმსუქნის
წინააღმდეგ
და საუკეთესო სასაქმებელი საშუალება
თითო კოლოფში ჩალაგებულია 60 აბი
✦ კოლოფები წითელ ფერის ✦
დართული აქვს აღწერა იმისა, თუ როგორ უნდა მოიხმაროთ საშუალება, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.
იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (ვ. 0.—13)

№ 4711
სალებავი
თმებისა
კაკლის ექსტრაქტისაგან.

ეს სალებავი მშვენიერია. სულ ცოტა ხანში იმ ფერს აძლევს თმას, თუნდა ჭაღარა და წითელიც იყოს, რა ფერიც სასურველია, ღია ფერიდან დაწყებული შავამდე. რაც უფრო ხშირად იხმარება ეს სალებავი, მით უფრო მუქი ხდება თმა. № 4711—ამ სალებავს, კაკლის ექსტრატისაგან დამზადებულს, შეიძლება უპირატესობა მიეცეს ყველა სხვა სალებავთან (თმის) შედარებით, რადგან იგი არავითარ მავნე ნივთიერებას არ შეიცავს.

ფერები:
შავი, ნარინჯი, წაბლის ფერი და ღია ფერი.
პატარა შუშა ღირს 1 მან. 20 კაპ.
დიდი „ „ 2 „ — „
იყიდება ყველა საუკეთესო მაღაზიაში
ფერდ. მიულჰენსი,
რეინის კიოლნში განყოფილება რიგაში.
მისის იმპერატორებით უდიდებულესობის კარის ვაჭარი.
(6—[illegible]—2)

ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთა
აჯამეთის მამულში იყიდება:

1) დარჩეული ნამყენი ადგილობრივის და ევროპიულის ჯიშისა,
2) ამერიკულ ვაზის ლერწი სხვა და სხვა ჯიშისა: Rupestris mont., Riparia gl. და Ripariat Rupestris 101^{14}.
3) ფესვიანი ნერგები ამერიკულ ჯიშის ვაზებისა.

ადრესი: Ст. Аджаметы З. К. Ж. Д. Управляющему имѣніемъ А. М. Татевосяну. (15—2)

ქუთაისში
ექ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მისის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვა, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1905 г.

на большую ежедневную съ полной программой, выходящую въ Баку, газету

„БАКИНСКІЯ ИЗВѢСТІЯ“
(ЧЕТВЕРТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ).

въ газетѣ обѣщали участіе.

Н. Ф. А-фъ, Н. П. Ашешовъ, Е. З. Барановъ, П. А. Берлинъ, В. Богучарскій (В. Я. Яковлевъ). Mr. Broun, Л. К. Бухъ, Х. С. Варданянъ, П. А. Васильевъ, Д. Ведребисссели (Ц. К. Маліева), Ю. А. Веселовскій, В. С. Вейнылъ, К. Вииновъ, Вѣди-Азъ, Горичъ, М. М. Гутамовъ, В. А. Евангулова, Б. И. Ивинскій, (Б. Борскій), А. С. Изгоевъ, М. В. Кечеджи-Шаповаловъ. Н. П. Козеренко, А. Н. Котельниковъ, М. Меликъ-Шахназаровъ, Мечтатель (Ѳ. Ѳ. Трозинеръ), А. И. Новиковъ, Н. А. Падаринъ, А. Б. Петрищевъ, Конст. М. Пономаревъ, Н. С. Семеновъ, С. С. Семеновъ, Орестъ Семинъ, А. С. Скляръ, М. А. Славинскій, М. Ф. Славинская, д-ръ Л. Соколовскій, Ю. Стекловъ, В. Ѳ. Тотоміанцъ, А. Ю. Финнъ, Б. І. Харитонъ, Г. И. Шрейдеръ И. И. Шрейдеръ, Эненъ, Эхо и друг.

Газета имѣетъ собственныхъ корреспондентовъ въ крупныхъ городахъ Кавказскаго края, а также въ С.-Петербургѣ, Москвѣ и заграницей.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

	Для городскихъ подписчиковъ	Для Черн. гор., Баилова, Балахан. и иногород. подписчиковъ
На годъ	7 р. —к.	8 р. 50 к.
На 6 мѣсяцевъ	4 „ —„	5 „ — „
На 3 мѣсяца	2 „ 50„	3 „ — „
На 1 мѣсяцъ	1 „ —„	1 „ 50 „

Для годовыхъ подписчиковъ допускается разсрочка.

	Для городск.	Для иногород.
При подпискѣ	3 р.	3 р. 50 к.
Къ 1 апрѣля	2 „	3 „ — „
Къ 1 іюля	2 „	2 „ — „

Годовые подписчики на 1905 г., внесшіе при подпискѣ полностью всю подписную сумму, получаютъ въ 1904 г., газету, со дня подписки **Безплатно**.

Редакторъ-издатель **Н. А. Гриневъ**.
(3—1)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1905 ГОДЪ
НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ еженедѣльный ЖУРНАЛЪ
ВОКРУГЪ СВѢТА

ВЪ ТЕЧЕНІЕ ГОДА ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ:

50 №№ ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНАГО ЖУРНАЛА. Путешествія.—Этнографія.—Романы и повѣсти, изображающіе разныя приключенія на сушѣ и на морѣ.—Очерки и разсказы.—Стихотворенія.—Спортъ.—Картины.—Иллюстраціи.—Портреты. 1.200 столбцовъ текста.

12 №№ ЕЖЕМѢСЯЧНАГО МОДНАГО ЖУРНАЛА съ изящными, но общедоступными дамскими и дѣтскими нарядами.

12 образцовъ ИЗЯЩНЫХЪ ДАМСКИХЪ РАБОТЪ по лучшимъ русскимъ и иностраннымъ образцамъ.

ВЪ КАЧЕСТВѢ ПРЕМІЙ ПОДПИСЧИКАМЪ „ВОКРУГЪ СВѢТА“ БУДЕТЪ ДАНО
БЕЗПЛАТНОЕ ПРИЛОЖЕНІЕ
ДВА ЧРЕЗВЫЧАЙНО ЦѢННЫХЪ и БОГАТЫХЪ ИЗДАНІЯ.

1 ТОМЪ въ 375 стр. „МЫСЛИ МУДРЫХЪ ЛЮДЕЙ“: Эпиктета, Діогена, Марка Аврелія, Сократа, Конфуція, Будды, Лао-Тсе, Аристотеля, Платона, св. Августина, Паскаля, Руссо, Спинозы, Канта, Шопенгауера, Достоевскаго, Рёскина и мн. др. на каждый день собранныя знаменитымъ писателемъ **Львомъ Николаевичемъ ТОЛСТЫМЪ.**

24 ТОМА ИСТОРИЧЕСКИХЪ РОМАНОВЪ (въ 150—200 печатныхъ листовъ) **Александра ДЮМА** (отца), куда войдутъ шесть произведеній знаменитаго романиста: Графъ Монте-Кристо.—Виконтъ де-Бражелонъ.—Двѣ Діаны.—Королева Марго.—Графиня де-Монсоро.—Сорокъ пять. Подписчики „Вокругъ Свѣта“ получатъ ихъ въ полномъ видѣ, безъ всякихъ либо сокращеній. Въ отдѣльной продажѣ романы Дюма стоятъ 15 руб. Выданные ранѣе въ премію „Вокругъ Свѣта“ и вышедшіе затѣмъ отдѣльнымъ изданіемъ при цѣнѣ въ 3 р. романы Три мушкетера и Двадцать лѣтъ спустя высылаются годовымъ подписчикамъ нашего журнала за 1 р.

Кромѣ того, съ приплатою одного рубля, подписчики «Вокругъ Свѣта» получатъ
НЕБЫВАЛУЮ ПРЕМІЮ:
богатую художественную галлерею стѣнныхъ картинъ —
Война и ея герои,

12 ОЛЕОГРАФІЙ, т. е. художественно исполненныхъ во множествѣ красокъ картинъ и портретовъ (размѣромъ каждая въ 40×52 сант.), посвященныхъ наиболѣе величественнымъ и потрясающимъ событіямъ войны Россіи съ Японіей и воспроизводящихъ съ мельчайшими подробностями выдающіеся моменты кровавой грозы на Дальнемъ Востокѣ. КАРТИНЫ: Наша армія и флотъ.—На сушѣ и на морѣ.—Выдающіеся бои, стычки, схватки, штурмы и т. д.—Мирная работа подъ грохотъ пушекъ.—Коварный врагъ.—Взрывы и гибель судовъ.—Доблести, подвиги русск. оружія.—Защитники величія Россіи: Куропаткинъ, Стессель и др. военач.

4 р. ЦѢНА НА ГОДЪ безъ картинъ Война и ея герои съ перес. и доставк.

ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА: при подпискѣ 2 р., къ 1 апрѣля 2 р., къ 1 іюля 1 р.
Адресъ: Москва, Петровка, д. Матвѣевой. Редакція журнала „Вокругъ Свѣта“.
Изданіе Т-ва И. Д. СЫТИНА.

5 р. ЦѢНА НА ГОДЪ съ 12 картинами въ краскахъ Война и ея герои съ перес. и доставк.

(3—1)